

# მ რ ი

№ 19

კვირა 13 თიბათვე

№ 19

1910 წ.

საზოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი

1910 წ.

**რედაქცია** უმორჩილესად სთხოვს ხელის-მომწერთ, ხელის მოწერის ფულის შემოტანა დასჩქარონ.

## შინაური მიმოხილვა

— 2 —

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას რომ დაუკვირდეთ, ბევრს არა სასურველს, საზოგადოებრივობის საწინააღმდეგო მიდრეკილებას შევნიშნავთ. სხვათა შორის საკმარისია ამა თუ იმ პირმა რაიმე საზოგადოებრივი ადგილი ხელში ჩაიგდოს, რომ სრულიად შეიცვალოს, გაიბეროს და ყოველი კრიტიკა მისდამი რწმუნებულ საქმისა თავის პირად შეურაცხყოფად ჩასთვალოს. ეს შენ-ჩემობია, ეს მიდრეკილება კრიტიკის ალაგმვისა, ეს სურვილი ყველას ჩაჩუმებისა ჩვენში ქმნის ისეთ პირობებს, რომელთა შემწეობით მიუღდომელი, პირუთენელი კრიტიკა შეუძლებელი გახდა. და თუ ვინმეს მოქმედებას შეეხეთ, აუცილებლივ შურისძიებას უნდა ელოდდეთ. ამიტომაც ჩვენს ნამდვილთ, ხოლო უფრო ხშირად ნაძალადევ საზოგადო მოღვაწეთ ყოველთვის აკლიათ სულიერი სიმშვიდე და გულახდილობა. შეუძლებელია რომელიმე დიდი საქმე აწარმოვოთ ისე, რომ რაიმე შეცდომა არ მოგივადეთ, მით უმეტესად ჩვენში, საცა ერთს საზოგადოებისათვის თავდადებულს ხუთი და ათი საზოგადოების მტერი გვერდში უდვას და ცბიერობით შეიარაღებული წურბელასავით საზოგადო საქმეს ეტანება თავის პირად გამორჩენისათვის. მაგრამ მიუხედავად ამისა ამა ერთი მაგალითი დაგვისახელეთ, რომ რომელიმე საზოგადო მოღვაწეს თვითონ თავის პირით ელიარებინოს—ამ საქმეში ამ მართლაც შევცდითო პირიქით რაც სისულელე და საზოგადოებისთვის საზარალო საქმე არ უნდა მოიმოქმედოს ამა თუ იმ პირმა, მაინც თავის მოვალეობად სთვლის ქება-დი-

დებით მოიხსენიოს თავისი მოღვაწეობა და ყოველი ღონე იღონოს, რათა შავი თეთრად დაგვანახოს. ძნელია ასეთ პირობებში პირუთენელი კრიტიკა და მიუღდომელი განსჯა. მით უფრო საკირო და ძვირფასია ჩვენთვის პირდაპირობა და მოურიდებელი კრიტიკა იქ, სადაც საზოგადო საქმე თითქო საპირადო საქმედ გაუხდიათ.

\* \* \*

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წლევეანდელ კრებაზე ერთი ფრიად საგულისხმიერო საკითხი იქმნა წამოყენებული. ამ ბოლო დროს ქარლკახეთის თავად-აზნაურობა მეტად მოსაწონ გზას დაადგა. ის იძენს კერძო საკუთრებას და აჩალებს სხვა და სხვა სამრეწველო მომგებიან საქმეს. მაგრამ რამდენადაც ეს მიდრეკილება საქებური და სასურველია, იმდენადვე სიფრთხილე და წინდახედულობა გვმართებს. რამდენადაც ფრთხილად ვიქნებით. რამდენადაც წინასწარ ავწონ-დავწონთ და განვსჯით ჩვენს მოქმედებას, იმდენად საქმისთვის უმჯობესი იქნება. გვგონია, შეცდომები საკმარისი ჩავიდინეთ, რომ ახლა მაინც სიფრთხილე ვისწავლოთ. მაგრამ ისტორია რომ ყველასთვის გაკვეთილი იყოს, აქამდის კაცობრიობა ბედნიერი იქნებოდა. ჩვენს თავად-აზნაურობისთვის ისტორია, მისივე წარსული მოქმედება თითქო გაქრა. კრებაზე ის აზრი გამოითქვა, რომ რადგან თავად-აზნაურობა ყოველ წლივ საკმარისად დიდ თანხას ხარჯავს სხვა და სხვა საზოგადო საქმეზე, რადგანაც ამავე თავად-აზნაურობას საკუთრებაც აქვს, რომელიც მოითხოვს მოვლას, ხარჯებს და სხვა, ამიტომ ავირჩიოთ საფინანსო კომისია, რომელიც ყოველილვე ნაბიჯს ჩვენი მოქმედებისა ხარჯების სფერაში ასწონ-დასწონს, განსაკუთრებით

შინაური მიმოხილვა:

ქართული

შინაური მიმოხილვა; ბედი შკასნისა; შვილისა; საზოგადოებრივი დაცემა; სიმანხვე, დრამა—ნ. შიუკაშვილისა; თბილისის თავად-აზნაურთა კრების გამა — დამოუკიდებელისა; ნუკალ ხანი—ივ. ბუქურაულისა.

შეისწავლის ყოველივე საკითხი და შემდეგ თავის მოსაზრებები წარუდგენს დებუტატთა საკრებულოს და საზოგადო კრებასო. პირველად ამ წინადადებას წინააღმდეგ თითქო არავინ იყო, თვით კრების თავმჯდომარე, თავად-აზნაურობას წინამძღოლიც სიამოვნებით მიეგება წინადადების. მაგრამ არ გასულა ორი დღე და როგორც კრების თავმჯდომარე წინამძღოლმა, ისე უმეტესობამ ამ აუცილებელ და ფრიად საჭირო ღონისძიებაში თითქო პირადი შეურაცყოფაც კი დაინახეს, საკითხი გაამწვავეს და კამათს მიმართულება მისცეს, რაც არავითარ საზოგადოებაში სასურველი არ არის. ჩვენს გამოჩენილ და ძლიერს მოღვაწეს უსაყვედურებდით—მეტად თავმოყვარენი და თვით ნებობის მიმდევარნი არიანო. ეხლა ეს თვითნებობა პრინციპად სურთ აღიარონ. ფრიად სამწუხაროა ასეთი მოვლენა, ფრიად სამწუხაროა, როცა საზოგადო მოღვაწე საზოგადოებრივ პრინციპს უარყოფს და სასარგებლო საქმეს ყალბად გაგებულ თავმოყვარეობას უპირდაპირებს.

\* \* \*

ჩვენი თეატრი რომ ვერ არის მკვიდრ ნიადაგზე დამდგარი, ეს ყველასათვის ცხადია. და პირველი მიზეზი ასეთ მდგომარეობისა არის უსახსრობა. მაგრამ მიუხედავად ათასი დაბრკოლებისა, თეატრი ჩვენთვის ისეთი წმინდა და დიდმნიშვნელოვანი დაწესებულებაა, რომ არავითარ მსხვერპლს არ უნდა დავერიდოთ მის ასაყვავებლად. ხოლო როგორც ზნეობრივს, ისე ჭონებრივს დახმარებას მარტო საზოგადოებისაგან უნდა ვყლოდეთ. ამიტომაც საზოგადოების ძალის გაძლიერება, მისი მეტი ყურადღება ჩვენ საქმეს წინ წასწევს და ისეთ კალაპოტში ჩააგდებს, როცა სცენის მუშაკთ შეეძლებათ გულდასმით და სიყვარულით ემსახურონ თავის საქმეს. საუკეთესო მაგალითს ამ მხრივ ჩვენ ქუთაისი გვაძლევს. ქუთაისში გასულ სეზონში საზოგადოების გულწრფელმა და სერიოზულმა მუშაობამ ისეთი კეთილი ნაყოფი გაამოიღო, რომ შემდეგისათვის გზა გაგვიკვალვა. 1909—1910 წლის სეზონში ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას გაუმართავს ორმოცდაცამეტი წარმოდგენა, რომელსაც დასწრებია 27 ათას კაცზე მეტი, ასე რომ თითო წარმოდგენას ერთაშუა რიცხვით დასწრებია 510 კაცი. ესეთი ჩინებული სეზონი ჩვენს სცენას არ მოსწრებია. აქ ნათლად დავინახხთ, რომ თუ საზოგადოება შეგნებულად მოეპყრობა თავის მოვალეობას, საქმესაც სასურველად დაავიროვინებს. ამიტომაც გულწრფელი მადლობა უნდა შევწიროთ, როგორც ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას, ისე არტისტებს ბ. გუნაის მეთაურობით, რომელთა შეთანხმებულმა და თავგანწირულმა შრომამ ასეთი ჩინებული ნაყოფი მოიტანა.

# ბელი მგოსნისა

დრამა ხუთ მოქმედებად.

მოქმედება პირველი.

(გაგრძელება)

სურათი III

**თამარ.** ეს გულმა იცის და შემდეგ კი ყველა გაიგებს.

**ლევან.** „ეგ გულმა იცის!“ შენმა გულმა არა იცის-რა

და თუ რამ იცის, უეჭველად ის უნდა იცოდეს, რომ ძლიერ მალე შეიქმნები ამის მეუღლე და ამის ცოდნა არის უფრო სასიხარულო ვიდრე შენ ეხლა მოწყენილსა ყოველი გხედავს!

**თამარ.** უწინ გასქდება დედამიწა და უფსკრულს ჩანთქავს,

უწინ იგი ცა მომივილინებს მებს სასიკვდილოდ,— ვინემ მეუღლე შევიქმნები ამ თავადისა!

მე ეს არსება, პირში ვამბობ, მძავს, მეზიზღება!

**ლევან.** ენა მოიჭერ, რაებსა ჰბოდავ? (ერ-არჩილ. ოჰ, დამცირებავ! (თად.)

**ლევან.** ჩვენ ყველას გვარცხვენ! სხვა დროს აღარ გაიმეორო!

როგორ, სჯიუტობ? მერე, ვისთან—კარგად დაფიქრდი.

**არჩილ.** (თამარს) მაგ აღელვებას ვერ აიტანს ნორჩი ქმნილება

**ლევან.** (არჩილს) ეგ ურჩობს მხოლოდ, რაც ქალების ხელობა არის.

მარტო დაგტოვებთ, არ შევეუშლი გვრიტებს აღერსსა! (გადის. უკან გამდელი მისდევს)

**არჩილ.** (დიდი სიჩუმის შემდეგ ვნებით ადვსილი თამარს მიუახლოვდება)

რად მიმზერთ ზიზღით, ოდეს თქვენთან მარტოკა ვრჩები?

აბა მომხედე, ეგ რუჩები რას მოელიან: მხურვალე კოცნას თუ ჩემდამი კვლავ სისასტიკეს. (ხელს მოჭხევეს და ჭკოცნის. თამარ სცდილობს თავი გაინთავისუფლეს)

**თამარ.** (დასხეულია, სცდილობს თავიდან მოიშორეს) ოჰ, მოეშველე, ნიკო, შენს სატრფოს, ბარბაროსები ძალას ხმარობენ!

(არჩილი რა გაიგებს ნიკოს სხეულს, თვით გაუშვებს ხედიდან. თამარ გაიქცევა)

**არჩილ.** (ზარდაცემული) „ნიკო, მიშველე!“ დიახ, ასე სთქვა!..

იგი შემისწრობს, სულით არ სცხრება! ვის შეუძლიან წინ გადმელობოს, ფეხით საბრალო გაისრისება! ყველგან წინ მიდის: მისი მნათობი



ახშობს და ჩრდილავს ჩემს ბედის ვარსკლავს,  
რად ვიტანჯები!.. ერთხელ აღსრულდეს...  
ჩემსა მეტოქეს გავუთხრი საფლავს!..

სურათი II

ტბის ნაპირი ქალაქ გარედ.

(სცენის სიღრმეში ქალაქის ნაწილი მოსჩანს. ტბის გვერ-  
დით გორაკია ნაძვით შეფენილი. მარცხენა მხრით აღმა-  
რთულაა მალაღი მთა, რომლის კარშემოც ხშირი, დაბუ-  
რული ტყეა, ტყის ნაპირებზე მდინარე მიიკლავება ამ  
ბილიკით, რომელიც გორაკს ჩამოუდის, გამაჩნდება ნიკო  
მეტად დადრეკილი და სევდით შეწუხებული. ტბის ზე-  
რას მთავ. ნაძვის კუნძის დაეყრდნობა და დიდხანს სდუმს)

**ნიკო.** აი ადგილი,  
უაღრეს მიყვარს,  
და აქ განვიციდი  
სრულ ნეტარებას,

როს გულ ახდილად ამოვსტქვამ სევდას  
და განვამელავნებ ღრმა მწუხარებას! (ტბის ზე-  
რას წამოწვება)

ახ, მთვარევ, მთვარევ! პირნათელო, უხვო სხივებით!  
რად იყურები დაღვრემილი მიმქრალ ღრუბლებით?  
ხომ არვის ეძებ? მითხარ, მთვარევ, მფინე ნათელი!  
მეგობარს ეძებ, რომ გაუყო მწარე ნაღველი?  
თუ სატრფოს ეძებ, სატრფოს ამაყს შენებრ გაბა-  
დრულს,  
ნუ გინდა იგი! სევდას მიგცემს დღე-გახარებულს!  
(ტბის ზირას წამოწვება, გარედ ჩანგურის ხმა ისმის და  
შემდეგ ირავლი იძახის: ჰაი, ნიკო!)

**ნიკო.** ვილაც იძახის.—რა გინდა, ვინ ხარ!  
**ირაკლის ხმა.** შენი ერთგული მეგობარი ვარ!

**ნიკო.** პირდაპირ წამო და მომადგები!

**ირაკლ.** (შემოდის) სალამი შენდა, მეგობარო,  
შენ სატრფოსაგან!

**ნიკო.** რაო, ეგ რა სტქვი?

**ირაკლ.** სალამს გიძღვნის!..

**ნიკო.** ვინა?

**ირაკლ.** თამარი!

**ნიკო.** ოჰ, ცაო, ცაო!—განა იმას კვალად  
ვახსოვარ?

ეგ არა მჯერა!

**ირაკლ.** დაგაჯერებ!

**ნიკო.** სიტყვაა მხოლოდ!

და განა ჩემს გულს დაამზიდებს მხოლოდ სიტყვები?

**ირაკლ.** სცდები, ძმობილო!

**ნიკო.** ძლიერ ხშირად სიტყვით გვხიბლავენ  
და გამოვდივართ, მეგობარო, მოტყუებულნი!

მაგრამ მითხარი, ნუ აყოვნებ, სად ჰნახე თამრო?

**ნიკო.** დღეს დილით ადრე გამოვიარე იმათ  
სახლისკენ,

იმ განზრახვით, რომ შენი თავი მე იქ მენახა,  
მაგრამ ვერ გპოვე და ის იყო შინ ვბრუნდებოდი,

ხმა შემომესმა თამარისა მალლა ფანჯრიდან!  
მიველი ახლოს და დამიწყო მან გამოვიტყუე!

**ნიკო.** რაო, რა გითხრა?

**ირაკლ.** ჯერ დამაცალე, ნუ მაწყვეტინებ!

ბევრი რამ მითხრა და თუმცა ბევრი მათგანი მახსოვს,  
მაგრამ ბევრიც კი დამავიწყდა! აი რა მითხრა:

ჯერ ერთი ის, რომ შეოთიაო...

**ნიკო.** ჩქარა სტქვი ყველა!

**ირაკლ.** მოუსვენარი, ეჭვიანი...

**ნიკო.** სხვა რაღა გითხრა?

**ირაკლ.** სხვას რას მეტყოდა, თუ არ იმას,  
რომ შენ უყვარხარ?

ერთხელ მე და შენ ის რომ ვნახეთ მთვარიან ღამეს,  
სწორედ იგი ღრო მოიგონა და გულ ამოსკვნით  
შეჰნატრა ზეცას, კვლავ ის წუთნი დაჰბრუნებოდა!..  
შემდეგ მალლიდან ჩამოაგდო მან ეს წერილი  
და მიხოვა შენთვის გადმომცეა ძლიერ საჩქაროდ.

**ნიკო.** ნუ თუ ეს ყველა მართალი არის?

(წერილს კითხულობს)

ძვირფასო ნიკო, გიგზავნი წერილს  
და იმედი მაქვს ეს დაგამზიდებს;  
ტყუილი არის, რასაც შენ ჰფიქრობ  
რისთვისაც თვალთ ჰღვრი ცხარე ცრემლებს!  
შენ ეჭვობ მხოლოდ... ეჭვი ბრმა არის...

ერთგულ სატრფოთა დამღუპველია;  
იგი ჩვენ გვტანჯავს, სულს არ ასვენებს  
და, ვით ლახვარი, გულის მკვლელია!  
მოდო, მამზვიდე, სიტყვა მითხარი,  
გწერს, სამუდამოდ შენი «თამარა»!

**ნიკო.** ოჰ, ღმერთო ჩემო! ნუ თუ ყველა ეს  
მართალია?  
ჩემო ერთგულო, ეს წერილი, მითხარ, რას ჰნიშნავს?  
ხომ არ დამცინი, მითხარ სწორე, გამაგებინე!

**ირაკლ.** მაშ აგერ იმ ცამ მომივლინოს თავისი  
რისხვა  
და, როგორც მტვერი მთლად ამგავოს მიწის პი-  
თუ გატყუებდე. | რიდან,

**ნიკო.** ტყუილია მაშ ის ეჭვები?

**ირაკლ.** შენი ეჭვები? ჰაი, ჰაი, რომ ტყუილია!


**ნიკო.** აღშფოთებულმა სიციხიერე შევწამე თამ-  
როს!

ოჰ, მე ავჩქარდი და შევტოპე დიდ შეცდომაში!  
წავალ, მოვიხიდი მასთან ბოდიშს მუხლ მოდრეკილი.  
შევევადრები... აი ასე... ბოდიშს მოვიხიდი  
რომ მაპატიოს ჩემი სიტყვა... ცილის წამება!

**ირაკლ.** აღსდექი ზეზე! რისთვის აფრქვევ  
მდულარე ცრემლებს...

აბა, რა მოჰხდა სამაგისო, სულ არაფერი!  
შესცდი?—რა უყოთ? ვინ არის, რომ არ შემცდა-  
რიყოს?!

წავიდეთ ეხლა შინისაკენ და გულფრთხილით  
იმ ნეტარ წუთებს მოვლოდე, როს სატრფოს ჰნახავ!



(გადიან. ტბის მეორე ნახევარზე გამოჩნდებიან: აჩილი, დათო, ბესარიონი, გიო, თედო და სხვები)

**არჩილ.** ასე მოდექით, მეგობრებო, მხოლოდ ფრთხილად კი. აწ რასაც გეტყვით, ეს მხოლოდ თქვენ უნდა იცოდეთ.

(გარშემო ადგილებს ათვალიერებს)  
ფრთხილად. აქ ჩვენ ყურს არ გვივდებდნენ. აი, რას გეტყვით:  
**დათო.** სთქვი გაბედულად. ჩვენს მეტი არავინ არის.

**არჩილ.** ეხლა რაცა მსურს, მეგობრებო, თქვენ ვაგვიმელავენოთ, ის არის მხოლოდ ერთადერთი საშუალება, რის მეოხებით გული მკვდარი კვლავ გაცოცხლდება. რამ განვიზრახე. ის განზრახვა თქვენ ყველას გასწრობთ

და დავინახავთ თქვენს სიყვარულს. გამბედაობას.  
**დათო.** პირდაპირ გვითხარ, ყველაფერზე მზადა ვართ ჩვენა.

არა მარტო ჩვენ. ჩვენთან სხვებიც ბევრნი არიან.  
**არჩილ.** შენ ხომ ნიკოსა კარგად იცნობ?  
**დათო.** ვიცნობ, რა იყო?

**არჩილ.** მგონი, შენც იცნობ ბესარიონ იმ საზიზღარს.  
**ბესარიონ.** ის იყო ერთს დროს მეგობარი, როგორ არ ვიცნობ.

ხან სწერს ლექსებსა, მას მგოსანსა ყველა ეძახის. პატივისა სცემენ და ყოველგან მიღებულაია.

**არჩილ.** არა, მეგობრად ნუ ახსენებთ. იგი დიდად მძაგს, და მაშასადამე ჩემებრ თქვენცა უნდა შეგძაგდეთ.

**დათო.** მაინც არ მესმის, თუ რაც გინდა მაგით გამოსთქვა.  
მაგრამა ვგრძნობ კი სისასტიკეს გამოამელავენბ

**არჩილ.** ის უნდა მოკვდეს.  
**დათო.** უნდა მოკვდეს?  
**არჩილ.** რისთვის გაჭფითორდი?

**დათო.** მე შემადრწუნა მაგ სასტიკმა შენმა განზრახვამ.  
**არჩილ.** დათო, არ იცი თუ სიკვდილსა რისთვის მივმართე.

მაშ გამიგონე. (შეგობრებს) და თქვენც ყველამ ყური დამიგდეთ.

შენ კარგად იცი ქალი მიყვარს ლევან მდიდრისა, მაგრამ მის ქალს კი დასანახად მე ვეზიზღები. მერე, იცით თქვენ მიზეზი ამ სიძულვილისა? მიზეზი, დიახ, ნიკო არის, ჩემი მეტოქე.

ეს ყველამ ვიცით ბრძოლით ვპოვებთ სოფლად სასურველს და, აი, სწორედ ბრძოლა არის აქაც საჭირო.

ნიკოს მოვკლავ და თამროს ჩემსკენ გადმოვიბირებ.

**ყველანი.** მოკვდეს, მოკვდეს, ძლიერ თავს ეჩივებო!

**ბესარიონ.** თუ ნებას დამრთავ, მესაქმრებოთ გავეუსწორებო.

**არჩილ.** არა, ჩემს მეტერსა მინდა თვითონ მოულო ბოლო.

**ბესარიონ.** ვაჰ, თუ შენიშნონ და თამარის აღარ მოგცემენ. მაშინ ლევანი არ ისურვებს სიძედ კაცის მკვლელს.

**არჩილ.** მაგისათვის კი, მეგობრებო, არ შევწყუბდები.

რა მომესპობა მე მეტოქე, გზა გამეხსნება. დაე ნებით ნუ მომცემს ქალს ლევან მდიდარი. ძალით მოვიპოვ რასაც ნებით ველირსებოდი.  
(შორს იტქირება)

აგერ, ხომ ჰხედავთ იმ მაღალ მთას თოვლით დაფენილს.

იქ, მის გარშემო სამოთხისებრ ჰყვავის ბუნება და ათასფერად ყვავილები ტურფად იშლება. იქვე მთის ძირში მდინარეა კარგა მოზრდილი და სიჩუმესა არღვევს მისი შხუილი. მთის მწვერვალოზედ, ფრიალოზედ ციხე-კოშკი სდგას

და მედიდურად გადაჰყურებს იმ არე-მარეს. არ ვიცი, იგი ვის ეკუთვნის, ვინ ააშენა. მისი კედლები შემოსილია მწვანე ხავსითა და იგი მოწმობს, რომ დიდხნის აგებულაია და, აი, თამრო თუ არ მომცეს, იქ გავიტაცებ! ეხლა წავიდეთ, მეგობრებო, და რაც აქა ვსთქვით ის სისრულეში მოვიყვანოთ ჩვენ ყველამ საქმით!

ის ლაპარაკი მაშინ დაფასდეს, როდესაც იგი საქმით აღსრულდეს!

**ბესარიონ.** მაგ განზრახვაში ჩვენ ხელს შევიწყობთ, შენთან გავიყოფთ ჭირსა და ღებინსა!

**არჩილ.** (ქისას აძლევს) აჰა, ეს ფული თქვენ მოიხმარეთ

**დათო** (თავისთვის) მაშ უნდა მოკვდეს ნორჩი არსება, გამოესალმოს წუთი-სოფელსა; იგი საბრალო გაჭქრება, წავა... ველარ იხილავს მზის სინათლესა!

და რომ გადარჩეს, ვინ იცის შემდეგ ნიქმა რა რიგად გადაიფურჩქნოს; სოფელსა დიდი განძი შესძინოს!

**არჩილ.** დათო, რაზედ ხარ ჩაფიქრებული, ან სახე რისთვის გაჭფითრებია? გემცნევა, რაც ვსთქვი, არ თანამიგრძნობ, ჩემთვის სიკეთე არ გდომებია!

**დათო.** არა. მე ისე, მხოლოდ ვფიქრობდი და ამა ფიქრმა შორს გამიტაცა; შემასხა ფრთები, ოცნებით სავსეს,

და, ვით ფრინველი, ცას ამიტაცა!  
 ვფიქრობდი, მითომ შენი სურვილი  
 და ეგ განზრახვა აგსრულებოდა;  
 მითომდა ნიკო მოგვეკლა კიდეც,  
 მაგრამ თამარი არ გნებდებოდა!

**არჩილ.** თუ არ დამნებდა, მაშინ მე ვიცი!..

ყველაფერს შევძლებთ შეერთებულნი

**ბესარიონ.** შენ წინ გაგვიძიებ, თუ გილალატოთ,

ვიყოთ წყეულნი, შეჩვენებულნი!

მაშ მეგობრობა რით დაგიმტკიცოთ,

თუ სამსახური არ გაგიწიოთ?

რომ არ ვუმტყუნებთ, ყველამ შევფიცოთ!

**ყველანი.** ვფიცავთ მაღლა ცას, ძირს დედა-  
 მიწას

ვფიცავთ ჩვენს ძმობას და მეგობრობას, —

რომ არ ვუმტყუნებთ ჩვენ შენს განზრახვას!

**არჩილ.** მაშ გაუმარჯოს ჩვენს მეგობრობას!

**ყველანი.** გაუმარჯოს!

(დათოს მეტი ყველანი გადაიან)

**დათო.** (დრმა ფიქრის შექმდე)

ოჰ, არა, არა! ტურფა ბუნებამ

მე სუსტ არსებად არ გამაჩინა!

მე თვით ვიქმნები ნიკოს მფარველი

და ავმხედრდები მათ სურვილთ წინა!

ბოროტგამზრახველთ გული უარს ჰყოფს

და ვგრძნობ მოვიმიკი მე კეთილს ნაყოფს!..

**ა. შანშიაშვილი.**

(შემდეგი იქნება)



**საზოგადოებრივი დაცემა**

— 26 —

იზვიათია ისეთი ერი ქვეყნიერებაზე, რომელიც მუდამ თავისუფალი ყოფილიყოს. თითქმის ყოველ ერს გამოუვლია ხანგრძლივი თუ ხან მოკლე მონობა, მაგრამ ერი, რომელიც თავის ვინაობას აფასებს, მონობაშია ცი ქედს არ იხრის და ცდილობს თავის უფლება და თავმოყვარება დაიცვას. არაფერი ისე საზიზღარი დმ შემამძწუნებელი არ არის, როგორც ის მოვლენა, როცა მონა თავის მონობას ქებას ასხამს, ბედნიერების შარავანდედით ამკობს. ისტორია უცვლელი რამ არ არის. არავითარი გარეშე ძალა საშიში არაა, სანამ თქვენ გულში ჭია არ დაიბუდებს არ დაგცემთ და თავმოყვარეობას და იმედს არ წაგართმევთ. ქართველი ერი დღევანდელი მოვლენა არაა, მისი ისტორია ათასი წლობით ითვლება. ამ ხანგრძლივ ისტორიულ

არსებობაში მან შექმნა განსაზღვრული კულტურა, გამოიჩინა თავისი უნარი არსებობისათვის ბრძოლაში და მაშინ, როდესაც არა ერთი ერი ჩანთქმულ იქმნა საერთაშორისო ბრძოლაში, მან თავისი სახე თავისი ვინაობა შეინარჩუნა. და ყოველი ქართველი რომელსაც დღეს ქართველობა არ დაუხურდა ვეცხა და სხვა საპირადლო საქმეზე, ვალდებულია ამ თავის წარსულს, ამ ხანგრძლივ წვა-დაგვით გამოქედელ უფლებათ თავის არსებობისა პატივი სცეს, დაიცვას უკეთეს მომავლის მოლოდინში. ჩვენში კი სულ სხვას ვამჩნევთ. ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი ისე გაიხრწნა, ისე დაეცა და გათახსირდა, რომ „ვაშა ვაშას“ შესძახის იმათ, ვინც ჩვენ არსებობას გზაზე გადაეღობენ და სრულს მოსპობას გვიქადიან. დენაციონალიზაცია, ჩვენი ეროვნული დარღვევა არ გამოიხატება მარტო ერთს რომელიმე მხარეში. ერის ცხოვრება მეტად მრავალმხრივია და როცა ეროვნული წყობილება იშლება, ეს შლა შეეხება მისი არსებობის სხვა და სხვა მხარეს. ყოველ უწინარეს ჩვენში დაარღვიეს სახელმწიფოებრივი შენობა, მოისპო ძველი ადმინისტრაციული განწყობილება, მოისპო სამართალი, აღმოცენებული ჩვენს ისტორიულ არსებობაზე, მოისპო დამოუკიდებელი ეკლესია, რომელსაც დიადი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს ისტორიულ არსებობაში, მაგრამ განსაკუთრებით სისტემატიურად დევნილ იქმნა ეროვნულ არსებობის დედაბოძი — ენა.

ქართული ენა განდევნილ იქმნა ადმინისტრაციიდან, სასამართლოდან, სკოლიდან, მას არსებობის გზას უკრავენ. ბოლო დროს იმდენად გაკადნიერდნენ, რომ კიდეც უპატიურად იხსენიებენ.

ფაქტების დასახელება აქ მეტიცაა. მაგრამ მაინც არ შეგვიძლია ერთი ფაქტი მაინც არ მოვიყვანოთ. მოგვხსენებთ, რომ ჩვენს ისტორიაში საზოგადოდ ხეობებს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ყოველი ხეობა ერთნაირი ბუნებრივი სიმაგრე იყო, სადაც ხალხი უმრავლეს მტერთა შემოსევის დროს ბუნებრივ თავშესაფარი ჰქონდა. უთვალავი ნანგრევი ციხეთა და ეკლესიათა ნათლად მოწმობს, რომ ბორჯომის ხეობასაც დიდი როლი უთამაშნია ჩვენს ისტორიაში. დღეს კი, წარმოიდგინეთ, მთელ ბორჯომის ხეობაში არ მოიპოება არც ერთი სასწავლებელი, სადაც ქართულ ენას ასწავლიდნენ, გარდა ერთის სამრეწველო სკოლისა. ამ გარემოებამ ისე დასცა ქართული ენა, ისე შეეკრა გზა ქართულ წერა-კითხვას, რომ ჯარის კაცი თავის მშობლებს წერილს სწერს ქართულ ენაზე, ხოლო რუსული ასოებით. ამაზე უფრო გადაგვარების გზაზე შორს წასვლა განა შეიძლება?

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ გადაგვარების გზაზე უფრო შორსაც მივდივართ. ორი დღის წინად ტფილისის თავად-აზნაურთა კრებაზე ერთმა წევრთაგანმა ქართულად ლაპარაკი მოინდო-

მა. თავმჯდომარემ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, რომელიც ყოველთვის აცხადებს, რომ ის დამცველია ჩვენი ტრადიციის და თავმოყვარეობის, მოლაპარაკე გააჩერა და წინადადება ვისცა ქართულად არ ელაპარაკა. მაშ ქართველს თავისივე თანამომძმეთა კრებაზე თავის ერთ ლაპარაკი არ შესძლებია. განა ამაზე შორს წასვლა კიდევ შეიძლება?

და აი სწორედ ამ დროს გამოდის ადამიანი, რომელიც არა ერთხელ გაგონებთ: მე ოცდა ათი წელიწადია საზოგადოებრივ ასპარეზზე ვმუშაობ და ყოველთვის ჩემი დევიზი პირდაპირობა და გულახდილი ლაპარაკი იყო. მე არ ვარ შეჩვეული ჩურჩულს და ორპირობას. ეს გულახდილი რაინდი გახლავთ ფრიად ენაწყლიანი, გრძლად და ხშირად მოუბარი, მაგრამ ოცდა ათი წლის განმავლობაში მინც გამოურკვეველი საზოგადოებრივ სახის მატარებელი ბ. მიხეილ მაჩაბელი. და აი ბ-ნი მაჩაბელი საზოგადოებრივ კათედრიდან საყოველთაოდ აცხადებს: «ქართულ ენას არავითარი შიში არ მოეღოს».

აი დასკვნა ოცდაათი წლის საზოგადოებრივ მოღვაწეობისა. მაგრამ ესეც ცოტაა. იმავე კრებაზე ნათლად ირკვევა, რომ მესამოცე წლებში დაიწყო ჩვენში მიწის გამიჯვნა. ამ გამიჯვნამ ჩვენს მოქალაქეობრივ ურთიერთობაში შეიტანა საერთო არევი — დარევა. თქვენ ასი წლობით მამულს ჰვლობთ, თაობა თაობას მოჰყვება ამ მფლობელობაში, ხოლო მთავრობა ყველგან სახელმწიფო მიწას ეძებს, ყველას ედავება. ეს დავა მთელ ჩვენ ცხოვრებას აფერხებს, იწვევს საოცარ ხარჯებს, ხალხის გადატყვევებას, უფლებრივ რყევას და სადაო მამულების გავერანებას. ეს მიხეილ მაჩაბელმა მშვენივრად იცის მაგრამ იმავე დროს აცხადებს: „არ არის წერტილი, სადაც ქართველთა ინტერესები ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფო ინტერესებსო.“ სახელმწიფო განყენებული რამ ხომ არ არის? ჩვენ ყოველ ფეხის გადადგმაზე ვგრძნობთ მის გავლენას, მის მოქმედებას და თუ თქვენ ვერავითარ საწინააღმდეგოს თქვენი არსებობისათვის ვერ ჰპოვებთ მის მისწრაფებაში, მაშინ სადაა ეს თქვენი მამული-შვილობა? ან ვინ ხართ თქვენ? სად არის ეს ჩვენი ინტერესების დაცვა? ჩვენ გვესმის, რომ ჩვენს საზოგადოებაში არა ერთნაირი შეხედულება არსებობს სამშობლოს შესახებ, გვესმის, რომ ასეთ დაქუცმაცების დროს ყოველგვარი არევი — დარევა შესაძლებელია, მაგრამ შეუწყნარებელია, როცა ჩვენ თვიან ჩვენს უფლებებს უარყოფთ და ვადასტურებთ იმას, რაც ჩვენ წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ რას იზამთ? აქა ჩვენი საზოგადოებრივი დაცვა და დაძაბუნება.

# სიმაზნისძე

დრამა 4 მოქმედებად. ნ. შუიკაშვილისა

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ს ა მ ე

ბადი და ეზო ძნელადის სახლთან. მარცხნივ სახლის ერთი კედელი და კარები. (დარია ზის და ჰქსოვს, შემოდის თომა: სახლში შესვლა უნდა. ხელში ქალღლები უჭირავს.)

**დარია.** აქ მოდი, თომა.

**თომა.** რა გინდა? (მიუახლოვდება.)

**დარია.** ცვლილებას ვერას ამჩნევ სონას?

**თომა.** ბრმა ხომ არა ვარ!.. ხან თავ-პირი ჩამოსტრინის, ხან გადარეულივით მხიარულია!

**დარია.** მიზეზი იცია?

**თომა.** მიზეზიანის მიზეზი დმეტომა იცის.

**დარია.** ვასლისთვის უარი უთქვამს...

**თომა.** უარი?..

**დარია.** ვასო გამოსტყუხა — წინაღ ერთ ქალთან და-მკვიდრებულბა მქონდა... სონასაც ცივი უარი განუცხადებია ცალბაზად.

**თომა.** (სასოწარკვეთილებით) ადარ ვიცი, რა გქნა, ერთ დღეს რომ ჰატარა შედევითი მომეტეს, მეორეს ორი იმოდენა ტანჯვა დამაწვება!.. რა გქნა, მითხარ, რა გქნა?... თუ ჭკუიდან არ შემშაღეს არ ვიცი!..

**დარია.** დამშვიდდი, თომა...

**თომა.** რატომ დამშვიდდე, რომ უოველ დღე ეს ოხერი ბედი (ბრაზით) წიხლს მტემს.. წიხლს... წიხლს!.. (ფეხით უჩვენებს) წიხლს!.. (პაუზა) ვასო ისე მომწონს... ძლივს ჩემს გულმაც ჰატარა გაიხარა და აჭა!.. ისევ წიხლი... წიხლი!.. (სცემს ფეხს)

**დარია.** ეხლანდელი ქალები სხვა ხაირად...

**თომა.** (ბრაზით) სხვანაირად, სხვანაირად!..

**დარია.** მოეფანა რატომ, იქნება შეგნებინა!..

**თომა.** (მწარედ) ხა, ხა, ხა!.. მე გამოტყვინებული ბურჟუა და... რჩევა!... ხა... ხა! (ბრაზით) მე მკათა ვიცი ვარ... სხვანეს ქვეშ უნდა ამომდგეს სული, რომ მკათა ევრება ტყუილს... აი ჩემი მოვალეობა!.. რჩევა, მამა-შვილური მუსაიფი... (გაიქნევს ხელს და შედის სახლში.)

**დარია.** მოიცა!.. (მისდევს უკან)

(ცოტა ხანს სცენა ცარიელია. ყვირილით შემოვრბის გიორგი, უნდა ხეს მოეთაროს; შემოვრბის სონაც და ბურთს მიატყვამს; ისევ გაიქცევა. გიორგი დაავლებს ბურთს ხელს და გამოუდგება სონას! სცენა ისევ ცარიელია, ისმის გიორგის და სონას ჟივილ-ხივილი. მეორე მხრიდან შემოვრბის დაქანცული სონა; უკან ბურთით მოსდევს გიორგი)

**სონა.** (ჩაჯდება. სულს ძლივს იბრუნებს) დავიდალე!.. მეუფა, გიორგი!..!

**გიორგი.** (აჯავრებს) მეუფა!.. უშნო ხართ ქალები, უშნო!.. (ბურთს უმიზნებს) მოაკაკე თათი!



(სონა იკაკვავს) განს!.. იცი, სონა, ერთხელ მთელი გიმნაზია ქალაქ კარეთ წაგვიყვანეს სსსეირნოდ. გაუმართეთ ბურთაობა... ერთი ხალგაზრდა მასწავლებელიც ჩაერთა თამაშობაში... დრო მოვიმარჯვე და შიგ შლიანაში დავაკრე ბურთი! ხა ხა, ხა!..

**სონა.** ჯაფრი გიჭრდა?

**გიორგი.** არა, ყველას გვიყვარდა!

**სონა.** მამ რას ერჩოდი?

**გიორგი.** მაინც მასწავლებლია!..

(სონა უცებ გამოსტაცებს ბურთს, მიართყამს და გარბის. გიორგი დასტაცებს ბურთს ხელს და უნდა ესროლოს, მაგრამ სონა შეეფეთება საბას.)

**საბა.** ხე, ხე, ხე... სტელქობთ... გიხდებთ!..

(სონა და გიორგი აიწურებიან, ასე გგონია, ავი სული დაინახესო. გიორგი ბურტყუნით გადის. სონა გამშრალი დგას) რათ შესწვიტეთ?. მშენიერი სანახავია, რაცა... (საბაგელის ალერსით) თქვენისთანა მომხიბლავი ბავშვი ცელქობს...

**სონა.** (უცებ) მოგწინფართ?...

**საბა.** თქვენ... თქვენ?... აბა სიტყვით როგორ გამოვთქვა...

**სონა.** მამ... (საშინლად გაფითრდება).. შემიერთეთ.

**საბა.** (გაოცებული) როგორ? დამცინით--თუ?

**სონა.** (ხელს გაუწვდის, თვითონ დაბლა იყურება) აი ჩემი ხელი...

**საბა.** (ხელს ჩამოართმევს) მე... გონს ვერ მოსუფვარ...

**სონა.** (ზიზლით ხელს გამოვლევს) მოდიოთ... აქ მოვილახვარაკოთ... (წინ მიდიან, სხდებიან.) მე არ გეხუმრებოთ... გნებავთ თუ არ შემიერთოთ?...

**საბა** მე.. ბედნიერად ჩავთვლი... მაგრამ ის?..

**სონა.** იმის ცოდობა აღარ შემიძლიან.

**საბა** ხომ გიყვართ...

**სონა.** (გააწყვეტინებს) მაგაზედ ნუ ვილაზახვარაკობთ... ამასაც გეტყვით—მე თქვენ არ მიყვარხართ... თანახმა ხართ?..

**საბა.** მე.. არ ვიცი.. არ ვიცი... თუ ეს სისხმარია... ასეთი ბედნიერება...

**სონა.** კიდევ ზირობა: სჩუქრად მამი ჩემის ვალი უნდა მომიტანოთ.

**საბა.** დიდი სიამოვნებით..

**სონა** მამ წადით და ის ბარათები მომიტანეთ... მერე ჩემ დედ-მამას სთხოვეთ ჩემი ხელი...

**საბა.** (სიხარულით წამოდგება. მიდის. დაბნეულია. უცებ შედგება და მობრუნდება)... თქვენ არ ხუმრობთ?

**სონა.** (მკაფიოდ) არა. (საბა გაოცებული მიდის და რალაცას ჩურჩულებს; სონა გაფითრებული საბას თვალს გააყოლებს. პაუზა. თომა სახლიდგან გამოდის და აჩქარებით სადღაც მიდის. შეამჩნევს სონას და უცებ ბრაზით მიუბრუნდება)

**თომა.** რა გინდათ ჩემგან, თქვე მახინჯობა? (სონა

ნა გამშრალი შეჰყურებს) აჰა, ამომიჭამეთ, ამომიჭამეთ... (ტირილის ხმა ისმის. უცებ გაბრუნდება და მარღად გავა. სონა ისევ ისე დგას. შემოდის ვასო, ხაფიქრებული, გამშრალი)

**ვასო.** (დინჯად მიუახლოვდება) სონა... (პაუზა) მე აქამდის გული ვერ დამიჯერებია, ვითომ შენ სიყვარულმა აქამდის გაგიტაცა, რომ გასათხოვარი ქალის უმანკობა დაჰკარგე... ვერ წარმიდგენ, რა ბოროტება ტრიალებს ჩემს გულში... ჩემი ბედნიერება სიზმარივით-და მასსოფს... უფველი ის. რაც შეადგენდა ჩემს იმედს, სიცოცხლეს, მზის შუქს, სადღაც შერს—შერს ჩაესვენა და დაურჩი მარტო... უიმედობის ჯურღმულში.., თვალის კაკლებიც-კი სიცოვით შეუინება... ტვინიც აღარ ხურს... გაითქმა... ტანჯვასაც-კი ვვლარა ვგრძნობ, მხოლოდ მტოვა... მტოვა...

**სონა.** (ისევ ისე გაშეშებული. მარტო ტუჩებით ლაპარაკობს.) დაივიწყე... მახტიე...

**ვასო.** (სასოწარკვეთილებით) გონებაც მაგას შეუბნება, მაგრამ გრძნობა არ ემორჩილება.. რათა სთქვი?... რატო არ მომატუე?... ესლავი... არა, არა... უფველი შენი შესება... აღერსი მომაგონებს, რომ (საშინელის ტანჯვით) შენ სხეტაკ ქალ-წუფლობაზედ სხვამ იმეფა... იმეფა შენისავე სურვილით... არა—ამის დაივიწყება შეუძლებელია... შხამით ძვალ-რბილი გაიუღენთა და მხოლოდ მასთან ერთად განუღლება მიწაში...

**სონა.** (ჩუმად) მე?

**ვასო.** არა, არა, სონა. შენ ვერ წარმიდგენ მამაკაცის ამ გრძნობას.

**სონა.** ქალისას?

**ვასო** (სასოწარკვეთილებით) რა, დმერთო.. როგორ ავიხსნა... როგორ დაგანახვო განსხვავება...

**სონა.** დიახ, შეუძლებელია.

**ვასო.** მამ რა დაგვრჩენია... მითხარ...

**სონა.** მე სხვანაზედ გათხოვება და თქვენ.. ჩემი მეჯვარეობა.

**ვასო.** არ მესმის შენი სიმკაცრე.

**სონა.** მე საბას უკვე ზირობა მივეცი... (უცებ გაბრუნდება და სახლში შევარდება) (ვასო თავზარდაცემული დგას, მერე უკან გამოუდგება. სცენა ცოტა ხანს ცარიელია. შემოდის ილიკო და მარო.)

**მარო.** შევიდეთ, ილიკო, შენი ჭირიმი.

**ილიკო.** მე აქ დავრჩები.

**მარო.** არა, არა, შენც მიშველე.

**ილიკო.** რითი გიშველო, ქალო?... (დაცინვით) მავისთან „მალა“ მოსახრებას მე ვერც შევიტნებ, ვერც გაუმტლავდები. თითონაც არ იცის, რას სჩადის...

**მარო.** ილიკო, მეტად არის გამწარებული სონა.

**ილიკო.** მესმის, მარო. ძნელი ასატანი უნდა იყო, მაგრამ ვასოსთან ემაწვიფს უარი არ ეთქმის.

**მარო.** (ჩაფიქრებული) მამა-კაცები ძალიან ადვილად სწვევტავთ ამ სკათხს...

**ილიკო.** სრულებითაც არა. ყველა ცოტათი მაინც ზატოხსანი კაცი ტანჯვით და სინანულით იტონებს თავის წარსულს, მაგრამ ცხოვრება, დროების წეს-რიგი საშინე-

ლი ძალა და მამაკაცის თავდაუქურდობა თითქმის აუცილებელი ხდება... მე შენთვის ცუდი ქმარი და შეგობარი ვარ? გასათხოვარ ქალად დარჩენა განა უმჯობესია იქნებოდა, ვიდრე ეხლანდელი შენი ქმარ-შვილიანობა?

**მარო.** სონა უფრო განათლებული ქალია... უფრო სათუთი გრძნობა ექნება...

**ილიკო.** არა. სონას თავში მხოლოდ ორიოდ „ახალი“ აზრი ტრიალებს მეტი, ვიდრე შენსაში... უფრო ხანა რამე ახალ საჭირ-ბოროტო საკითხებს წამოაყენებს ხოლმე; ტექნიკების მოტრფიალენი ეცემიან ამ ახალ გზას და ახალ მიმართულებას ითვსებენ უფრო თავისი ადგენილებით გრძნობით, ვიდრე განების თანადანსაყობით. ათასობით მსხვერპლს იწირავს ეს ახალი კერძი იმისთვის, რომ ასი-ორასი წლის შემდეგ უარ-ყოფილი იქნეს ამავე ხალხისაგან, ასეთი უფთო მრავალი საწმინდოებრივი, ზოლიტიკური და ზნეობრივი საკითხები.

**მარო.** (ხელს დაუტერს და ხვეწნით) მაინც წამოდი, ილიკო... იქნება გავაწყოთ რამე.

**ილიკო.** აბა, წამოდი, მაგრამ მე განუშვებელი ვიქნები... (შედიან სახლში)

(შემოდინს საბა და დარეჯან. ეტყობათ მხეცური კმაყოფილება, რომ ხელში მტრედი ჩაუვარდათ. საზიზღრად ხითხითებენ)

**დარეჯან.** მაშე კვრე... გაება?... ხი, ხი, ხი...

**საბა.** გაება გაება, ხი, ხი, ხი...

**დარეჯან.** დიდ უარსედე-კი იყო ქალბატონი და...

**საბა.** თითონვე გაუო თავი... ხე, ხე, ხე...

**დარეჯან.** ხი... ხი, ხი... ზატარა კუჭი მაინც გაუძლება... ხი. ხი. ისე ჩაუჭირე კლანჭები, რომ... (გამხმარ თითებს საზიზღრად ჰკვლანჭავს)

**საბა.** (ისიც თითებსა ჰკვლანჭავს) სუნთქვას შეუხუთავ...

**დარეჯან.** (კილოს იცვლის) გაიკე-კი, რომელმაც დაანება თავი?

**საბა.** რაში შეკითხება.

**დარეჯან.** (გველურად, საიდუმლოდ) იქნება იმ სტუდენტმა ისარგებლა და...

**საბა.** (ფითრდება) ჩავსწრხობ ამ თითებით... გბილებით გამოვლადრი ველს... (პაუზა) შენა გკონია, რომ...

**დარეჯან.** მე არა მგონია რა, — მაგრამ შესაძლოა...

**საბა.** იტი რა?... მაგრამ არა... მაგასედე ლაზარაკი რომ დაუწყო, შეიძლება იწეინოს და... ხელიდან გამოსვლტეს.

**დარეჯან.** (გველურად) მართალია, მაგრამ... ნასუფრადის სტუმარი რომ გასდე?...

**საბა.** მაშინ... (კბილებს აღრქიალებს) დავსწრხობ... ჟერ-კი ჩუმიდ... (პაუზა, მხიარულად) კი არა მგონია ზატეოსნების შემხულები არიან... გამომიტყუებოდა, რომ იყოს რამე... ხე, ხე, ხე...

**დარეჯან.** ხი. ხი, ხი... მეც კვრე მგონია...

**საბა.** ეხლა შენ სახლში შედი და მშობლები აქ გამომიგზავნე.

**დარეჯან.** კარგი. (მიდის. კარებთან შედგება და მობრუნდება. ხითხითით და თითქმის კვლანჭავს) მაგრა ჩაუყრე... ხი. ხი, ხი...

**საბა.** ხე, ხე, ხე... ეგ მე ვიცი... (პაუზა) მაშე კვრე, კუხიან... შენი დედა თენდება... ხე, ხე, ხე... გარეუნილი დედაკაცებიც-კი ზიზღით მიქრავებდნენ თავიანთ გათელიდ ტანს და ეხლა ეს... ნორჩი, ხელ-უხლებელი ბავშვი!.. შეკრული... შეკრული... გასაფურჩქნი!.. (მხეცურად, ტანის უწმინდური მოძრაობით) უუე... (კბილები შეკრული) თვალთ მიანებდება, როცა წარმოვიდგენ მის უმანკო სხეულს ამ კლანჭებში! (თითებსა სძარღვავს) მთელი მდედრობითი სქესის ჯავრს ამაზედ ვიყრი და, თუ მაგან ჩემში დაგუბებულ ფინს გაუძლო, ქალი ეშმაკი ყოფილა!.. (სახლიდან აჩქარებით გამოდის ვასო და პატარ-და-პირ საბასთან მიდის)

**ვასო.** სწორედ თქვენი ნახვა მიხდოდა...

**საბა.** ხე, ხე, ხე!.. რით შემიძლიან გემსახუროთ?..

**ვასო.** თქვენ სონას ირთავთ?

**საბა.** დიახ... ეგ სონას სურვილია!..

**ვასო.** ეგ შეუძლებელია!

**საბა.** მიზეზი?

**ვასო.** მეტი ჯავრისაგან სონა გთავის ჰკვასედე არ არის და თითონაც არ იცის, რასს სჩადის!

**საბა.** ეგ იმის საქმეა.

**ვასო.** თქვენ ნება არა გაქვთ ისარგებლოთ მისი უკიდურესი მდგომარეობით.

**საბა.** ეგ ჩემი საქმეა.

**ვასო.** სონას თქვენ ეზიზღებით.

**საბა.** არც ეგ არის თქვენი საქმე... საზოგადოდ... გაკრძალავთ სონასედე ლაზარაკს.

**ვასო.** (ატაცებული) მე თქვენ ნებას არ მოგცემთ...

**საბა.** (ყრუდ) დედა-მიწა რომ შუასედე გაირდვოს, რა თავსედე ჩამომეგრეს, მთელი ფოჯოხეთი რომ წინ გადამიდგეს—ფერს ვერ მაცვლევიანებს და შენ... სუსტო მატლო... ჭიკა, გზასედე შედობები?... ჩამომეცდე... გაკრეს...

**ვასო.** (გეივით მიიწევს) მხეცო, მე შენ...

**საბა.** აღელვებული, გველივიდცივათ, ჩააშტერდება თვალბში. ვასო შემკრთალი უკან დაიხვეს) ხე, ხე, ხე...

**ვასო.** (შეზარული უკან-უკან იწევს) დმერთო... სონა და ეს... ეშმაკი...


**საბა.** (თვალს არ აშორებს და სატანასავით) ხე, ხე, ხე...

**ვასო.** (უკან-უკან მიდის) დმერთო. დაიფარე... (უცებ გაბრუნდება და გაევა)

**საბა.** (თვალს გააყოლებს) ხე, ხე, ხე... (სახლიდან გამოდის დარია,

**დარია.** უკაცრავად... თქვენ თურმე აქა ბრძანდებით და მე-კი...

**საბა.** (მოწინებით ხელს ართმევს) ხე, ხე, ხე... იქ მგონი სულ ახალ-გაზრდობას შეკრებილი და მე აქ...



**დარია.** დაბრძანდით... თომაც ეხლა დაბრუნდება... (სხდებიან)

**საბა.** როგორა ბრძანდებით?..

**დარია.** ეს რა გვიჭირს... გახლავართ... თქვენ როგორა ბრძანდებით...

**საბა.** მეც არ ვიცი... მე ეხლა ისეთი ადელეგებულები ვარ, რომ...

**დარია.** რა მოხდა?

**საბა.** ქ. დარია, გთხოვთ, როგორც დედას, სონა მომცეთ...

**დარია.** სონა მოგცეთ?..

**საბა.** დიას!

**დარია.** გმადლობთ ყურადღებისთვის. მაგრამ... სონას უკვე საქმრე ჰყავს... (შემოდის თომა) აი თომაც...

**თომა.** ბ. საბას ვახლავარ!..

**საბა.** გამარჯობა... (ხელს ართმევს) როგორ მოგიკითხათ?..

**თომა.** ეს... ჩვენ რა მოსაკითხნი ვართ... ქვეყნის უბედურებას ჩვენთვის მოუტლია...

**საბა.** ბედის მომწიფარი ბევრია, თომა,

**თომა.** არა, ბ. საბა, ჩვენთვის მეტად მოუტლია იმ დაღვრევიან... ისე დღე არ გავა, რომ თავში არა ჩამკრას.

**საბა.** ეს, თომაც, სხვა სხვის ომში მამაცია.,

**თომა.** (წრფელად) გეფიცებით, ბ. საბა, ზირველ უნდა გავუცვლი ჩემ ბედს.

**საბა.** ხე, ხე, ხე... გამოცდილი კაცი ხარ—არ შეგშენის ეგეთი ლაპარაკი...

**თომა.** რას ვდგევართ... დაბრძანდით... (სხდებიან)

**საბა.** აი, ჩემო თომა, ეს იყო ეხლა მოვასხსენებ შენს მეუღლეს... სონას გთხოვთ...

**თომა.** (მოიკრუნხება და მოწიწებით) აკი მოგახსენეთ, ბ. საბა, რომ სონას საქმრე ჰყავს შეთქი...

**დარია.** მეც ეხლა მოვასხსენებ...

**თომა.** თქვენი ყურადღება ჩვენთვის დიდი ზატეია, მაგრამ...

**საბა.** (დინჯად) მოიცა, მოიცა, თომა... სონას საქმრე ადარა ჰყავს—განა ეს თქვენ არ იცით?

**თომა.** (არეული) არა ჰყავს?... ჭო... დიას... არა..

**დარია.** ცოტა სხვა ნაირად გახლავთ საქმე, ბ. საბა... იმათ უსიამოვნობა მოუვიდათ. მაგრამ იმედი გვაქვს... შერიგდებიან.

**თომა.** (გახარებული) დიას, დიას... იმედი... შერიგდებიან...

**საბა.** (დინჯად) ეგ ეხლა შეუძლებელია: ისინი სიმუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

**დარია.** (ღიმილით: უნდა გააქარწყლოს) რა ბრძანება...

**საბა.** (დინჯათ) სონამ თითონ შითხრა...

**დარია.** ( ) (გაოცებულნი) სონამ?!

**საბა.** (დაცინვით იღიმება) დიას.

**დარია.** როდის?

**საბა.** დღეს. (სიჩუმე. თომა და დარია ერთმანეთს შესტკერიან გაწბილებულნი) ბ. მენახდეც ვამტყდა—მათი შერიგება შეუძლებელია.

**დარია.** (რბილად) ეგრეც რომ იყოს, ბ. საბა, ჩვენ ზირვების მოცემა არ შეგვიძლიან... ხომ მოგეხსენებათ, ესლანდელი შეილება უბრალო საქმეშიაც ადარ ემოწინააღიწეს...

**თომა.** (გახარებული) დიას, დიას... მაგის გადაწყვეტა მხოლოდ თითონ სონას შეუძლიან... თქვენისთანა ზატისანი კაცი-კი არა, მენახშირე რომ აიჩიოს, უარს ვერ ვტყუვით... ხე, ხე, ხე!..

**საბა.** რასაკვირველია!.. მე უკვე ვიცი მისი სურვილი...

**დარია.** ( ) ვისი?

**საბა.** სონას!

**დარია.** (შეშფოთებული) თქვენ უკვე სთხოვთ ცოლობა? (თომა და დარია მოუთმენლად შესტკერიან)

**საბა.** არა! (პაუზა. დარიას და თომას გულზედ მოეშვებათ და სიამოვნებით ამოიხუნთქავენ) სონამ ზირველმა გამომიხსნა სურვილი ჩემი ცოლობის!

**თომა.** ( ) (წამოცვივდებიან განცვიფრებული)

**დარია.** ( ) სურვილი?

**საბა.** დიას!.. აი ამავე ადგილას... ნახევარ საათის წინ!.. (თომა და დარია გამშრალნი, აღშფოთებულნი დგანან და დაბნეულნი შესტკერიან ხან ერთმანთს, ხან საბას. ვერაფრის თქმა ვერ მოუხერხებიათ. საბა კმაყოფილი, თვალეზ—მოკუტული შესტკერის)

**თომა.** (ბუტბუტებს) ეგ შეუძლებელია! ეგ... (პაუზა)

**დარია.** (დაფიქრებული) მე ეხლა ვეკლავები მე-სმის!.. ეური მიგდეთ, ბ. საბა... მეც ქალი ვარ—მესმის ჩემი შვილის სულის კვეთება!.. სონას უფავრდა და ეხლაც უფავრს ვასო, მაგრამ იმათ ისეთი უთანხმოება მოუვიდათ, რომ შესაძლოა მართლაც სამუდამოდც გამოვდნენ ერთმანეთს!.. ამ მოულოდნელმა უბედურებამ იქმდის მოჭკვეთა სსოება სონას, რომ მზად არის თავისივე კბილებით დადრდნას თავისი ხორცი!.. კაცს რომ კბილი სტკავა, მზად არის თავი ქვას შეანარცხოს და სონას ხომ ეხლა სული სტკავა!

**თომა.** (გახარებული) მართალია, მართალია!..

**საბა.** ეგრე რომ იყოს, სონა ზირ-და-ზირ თავს დაიხრებდა... მორჩა და გათავდა!..

**დარია.** არა, ბ. საბა! სონას ტანჯვისთვის ეგ მცირე შეღავათი იქნებოდა!.. უცებ სიკვდილით ვერ იერის ჯავრს თავის უბედურებაზე და... ხე გამიწერებით, ბ. საბა,—მეტს წამებას ვერ მოიგონებდა თავისთვის, ვიდრე თქვენზედ გათხოვებას!..

**თომა.** (გახარებული) დიას, დიას...

**საბა.** (დინჯად. ბრაზი მოსდის, მაგრამ თავს იკავებს) მე ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენი ქალის არჩე-

ვანი არ მოგწონთ, მაგრამ შეტი ღონე არ არის—უნდა გაწეინინოთ...

**ღარია.** (ჩააშტერდება) მშვიერი ქალი რომ კარს მოგადგეთ და ზურის გულისთვის თავისი ტანი შემოგთავაზოთ, მიიღებთ?

**საბა.** ე-ე-ე სხვა საქმეა...

**ღარია.** (გულ-მოსული, მტკიცედ) აბა დაუგვირდით... ან რა დიდი ფიქრი უნდა.. შე არა მჯერა, რომ თქვენ ეს არ გესმოდეთ..

**საბა.** (კვივად) შე თქვენი ქალი დიდი ხანია მომწონს; ესლას თითონვე ისურვას ჩემი ცოლად...

**ღარია.** (ცხარედ გააწყვეტინებს) ცოლად-კი არა—დანის დაკვრა გთხოვთ და თქვენ უფასო ამ დანას გუფ—ღვიძლი გასატარებლად.

**საბა.** (კვივად) ერთი სიტყვით...

**ღარია.** (ცხარედ გააწყვეტინებს) ერთი სიტყვით, თქვენ უნდა სწავს თავი დასწებოთ.

**საბა.** მხოლოდ ერთ შემთხვევაში.

**ღარია.** რამეა?

**საბა.** თუ თითონ სონა შეტყუის უნდა... შე ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენ ეგრე გწეინთ, მაგრამ ვეცდები... თქვენი გუფიც მოვიგო... მატერიალურად მინც შეგომსუბუქოთ, გაჭირვება... (ამ უკანასკნლი სცენის დროს თომა ხან ღარიას შეჰყურებდა და უხაროდა, როცა ის კარგად ასაბუთებდა სონას დაცვას,—ხან საბას და, ასე გგონია, ელოდა—რითი გათავდება ბრძოლაო. ღარია დამარცხდა, სონას ხელიდანა ჰკლევდნ—თომამ ეს შეიგნო)

**თომა.** (მოიკრუნჩხება, ხელებს იშმუშენის და ტკბილი, ფარისეველური ხითხითით) ხე, ხე, ხე... მამ გვზინდებით?.. დიდად გმადლობთ... იცით?.. ხე, ხე, ხე... ვალი გვანატრეთ და... მეც წინააღმდეგი არა შექნება—რა... ხე. ხე...

**საბა.** (უბიდან ბარათებს იღებს) აი, ჩემო თომა, შენი ბარათები... სონამაც მთხოვს ამ ვალის მოხსნა და შე დიდი სიამოვნებით... შემდეგშია...

**თომა.** (ჩამოართმევს ბარათებს და ზედ დახითხითებს) ხე, ხე, ხე... დიდად, დიდად გმადლობთ, ბ. საბა... ერთი სიტყვით, გაგვანდნაირეთ... (მთლად მოკრუნჩხული ალერსით შმუშენის ბარათებს; ასე გგონია, ებარებაო, მოკაკული მიუახლოვდება და ქვევიდან შესცქერის საბას) იცით, რა? (პაუზა)

**საბა.** რა?

**თომა.** (უცებ ამყად წელში გაიშლება) აი რა. (შეკუმშულ ბარათებს ესერის პირი—სახეში, საბა ერთს ნაბიჯს გადასდგამს უკან და გაცოფებული შეჰყურებს.)

რას მიუერებ?.. არ მოელოდდი განა ჩემისთანა ჯავლაცი ცხენისაგან წიხლს?... გეგონა—იქმდის დაიმნე, შექბოჭე ადამიანი, რომ მასში კაცური ადრატური დრჩა?... დიან, შეიღებისთვის შე ბეური დამცირება გამოვიარე, ბეგრჯელ შენც გამოელე მხინჯი ფეხებით, მაგრამ კმარა...

გეგონა, იქმდის დაგეგრე ადამიანური სხე, რომ ფუფით მომისეიდდი და ჩემისავე დასტურით დაკვრის დროს შეიღას, შე ევავო, შენა?! ხომ ხედავ, კაცებს შემოღობას წიხლის გაქნება!.. აკრიფე შენი კენის მსხვერზლი... გასწი... იძიე, ბოროტო. ძმის შური!.. (მღელვარებისაგან ატაცებული) გამძკე უკანასკნელი ტყავი... აჭა!.. (იძრობს დაძველებულს სერთუქს და ფეხფეთან მიუგდებას) (იხსნის ყელ—სახევეს და ესერის) გასწი!..

**ღარია.** (აშოშმინებს) რას შერები, თომა?!.. (იღებს სერთუქს და წამოასხამს)

**თომა.** არა, არა!.. მაგისია—მიეცია!.. გაიხადე შენც ფეხ-საცმელი და მინარტეი მაგ იუდას! (ღარია აშოშმინებს) (სახლიდან გამოდის სონა; უკან მოსდევს მარო, ილიკო, დარეჯან და გიორგი. ყველანი გაცოცხლებული არიან—ვერა გაუგიათ—რა. სონა გაფითრებული, დინჯად, წარბ—შეუხრებლად წინ წადგება, დანარჩენნი უკანიდან ირგვლივ შემოეორტყმიან. მძიმე სიჩუმე.)

**სონა.** (მტკიცედ და მკაფიოდ) შე მივეცი ცოლადის ზირობა ბ. საბას და გთხოვთ წინააღმდეგობა არ გაუწიოთ, მით უფრო, რომ ჩემი კადაწევეტილება შეურეველია! (დარეჯან საბასკენ გადავა და კმაყოფილად ილიმება. შუა სცენაზედ დგას სონა; მეორე მხარეს თომა და ღარია; უკან მარო, ილიკო და გიორგი)

**მარო.** (განცვიფრებულნი) ზირობა?!  
**ილიკო.** (განცვიფრებულნი) ზირობა?!.

**თომა.** (სონას) დმერთმა შენც შეგახვეწის და... კხომ შეჩვენებულა და შეჩვენებულა!.. (შევარდება სახლში)

**ღარია.** (მიუახლოვდება სონას. ალერსით.) შვილო, სანა...

**სონა.** (თხოვნით) დედი, გთხოვ... (უცებ მკაცრად) თავი დამანებეთ!..

**ღარია.** (მწარედ) დმერთმა დასწეველს მრუდე დრჩება, რომ შენისთანა მხინჯებსა ზრდის! (ტირილს ვერ იკავებს და სახლში შევარდება)

**მარო.** (მოეხვევა სონას) სანა, შენი ჭირამე, რას სწადი?!

**სონა.** (კვივად) გთხოვ, შენც თავი დამანებო!

**ილიკო.** (დინჯად სონას. ალელვებას ძლივს იკავებს) შე შენთან საქმე არა მაქვს... შენ ისეც ძლივსდა სუნთქავ!.. ტკბილი სიტყვა ენას არ მადგება... (მიუბრუნდება საბას; ყრუდ და მტკიცედ) თუ შენ ამ საზიზღრობას ჩაიდე, ისედაც საზიზღრო, მაგ მხეცის თავს გაიბობ!.. (უცებ მიუბრუნდება მაროს და აშურებით) წავიდე!!.. შენი შეგობობაც ვედასან უშველის... (სონაზედ) დაიმტვრას ამ სცედავისურემი!.. (მოკიდებს მაროს ხელს და მიჰყავს. მობრუნდება) ტარტაროზო, დაეპტარნეთ!.. (გაღიან)

**გიორგი.** (უკანა დგას და ტირის. უცებ ბრახით შესჰყვივლებს) შე შენ მოგკლავ, კუზიანო!.. (მუშტით დაემუქრება და გავარდება) (სიჩუმე. სამნივე უნძრეველივ დგანან. სონა გაშტერებული წინ იყუ-



რება. მერე საბა და დარეჯან შეხედავენ ერთმანეთს, გაიღიმებენ და სონას გადაჰხედავენ. ორთავენი დინჯად მიუახლოვდებიან ფეხ—აკრეფით, ასე გგონია ეშინიათ, არ გაუფრინდეთ დაჭერილი ჩიტო. საბა ერთ მხარეს მოუდგება, დარეჯანი მეორეს. საბა და დარეჯან ხელზე ხელს მოჰკიდებენ და ალერსით შეპყურებენ. მათი ხელის შეხება სონას ელექტრონიკით გაუვლის: ხელებს ზიზლით გამოჰგლეჯს, ერთ წამს გონს მოვა, გაფითრდება და გული მისდის. საბა და დარეჯან აქეთ—იქიდან ხელებს სტაცებენ, რომ არ წაიქცეს)

**დარეჯან.** გული შეუწუნდა!

**საბა.** არა უშავს—რა... სკინიდი გაუხსნათ!..

(ცალ—ცალი ხელით უჭირავთ და მიწოლილ სონას საყელოს უხსნიან)

**საბა.** ხე, ხე, ხე!.. მაინც ჩვენია!.. ხე, ხე, ხე!..

**დარეჯან.** მაინც ჩვენია! ხი, ხი, ხი!.. (ეშმაკებივით დასტრიალებენ და საზიზლრად ხითხითებენ)

**ფ ა რ დ ა .**

**მოკმედეგა მართხა**

მდიდრულად, მაგრამ უზნოდ მოწყობილი, სასტუმრო ოთახი საბას სახლში. შუაზედ გაჩაღებულია ხომლი. დაწმენილი-დაკრიალებული ავეჯი. დიდი სადღესასწაულო შემზადება უნდა ეტყობოდეს. მარჯვნივ კარი საწოლ ოთახში, მარცხნივ—სასადილო

ოთახში, შუა კარი კარში გასასვლელი.

(ფარდა, რომ აიხდება, სცენა ცარიელია. შემოდის შუა კარიდან ფილიპე, 50 წლისა, გაჭაღარავებული, მშვიდი სახე, საზოგადოდ უზოიანი კაცი. განიერი სუფთა სერთუკი აცვია. რამდენიმე შამანიურის ბოთლები უჭირავს; შედის სასადილო ოთახში და ისევ ჩქარა ბრუნდება ხელ-ცარიელი. ლამის თორმეტი საათია).

**ფილიპ.** (დინჯად ფანჯარასთან მივა და ცას შეპყურებს. ღია ფანჯრიდან მოსჩანს კამკამი, ვარსკვლავებით მოქედილი ცა. ეს ფანჯარა მოქმედების ბოლომდე ღია დარჩება) ჯერ არ ჩანს!.. უმთავრეს, მაგრამ მშვენიერი ღამეა. (იქვე ფანჯარასთან ჩაჯდება და დაფიქრებული ცას შეპყურებს. დინჯად ასე გონია, თავის ფიქრებს ემუსაიფებო) საკვირველია!.. გუშინ ახალგაზდა, ღამაზი საქმრო — დღეს-კი სხვაზედ იწერს ჯვარს!.. ისიც რაგონზე, დემთო შეგცადე!.. გუშინდელი-კი მეჯვარეთა ჭყავს!.. (თავს გაიქნევს და მწარედ ჩაიციხებს) ძალიან გაჭკვიანდა ხალხი!.. (გაიზმორება, დაამთქნარებს და პირზე ჯვარს გამოისახავს) ოხ. დემთო, დემთო!..

(შუა კარებში თავს შემოპყრავს ეთრებში გამოწყობილი მზარეული. სახეზედ ეტყობა, რომ ეშმაკი კაცი უნდა იყოს)

**ფილიპ.** (უკმაყოფილოდ) რა?

**მზარ.** არაფერი... არ მოდიან?

**ფილიპ.** ჯერ არ ჩანს... გირჩევენა, თავს არ ანებებდე.., გაგიფუჭდება!..

**მზარ.** გამიფუჭდება, მე შენ გითხრა, ასი კაცის სამსადისში ვართ!..

**ფილიპ.** ცოტანი რამ არიან, რიგინად დახვედრას არ უნდა?!

**მზარ.** არა, თუ დემთო გწამს, რამეღმა უნდა ჭამოს რამ?!. სტუმრებს და ჰატარაძეს ბოდმისგან ექნებათ შეკრული კრიჭა, შეეყვან სიხარულისგან!..

**ფილიპ.** კარგი, ხუ გააბი შენებური!.. რათა... რა უჭირთ?..

**მზარ.** ვითომ არ იცი!..

**ფილიპ.** ძაღს ვინ ატანდათ?!

**მზარ.** აი ეგ მეც ვერ გამოვიან!.. იცი, ფილიპე, ერთ ძაღთან მდიდარ კაცთან ვიყავ მზარეულად და იქამდის ჰქონდა გაფუჭებული სტამაქი, რომ ზირში ვერას ჩაუშვებდა, თუ მწარე, მღაშე, ცხარე რითიმე არ იყო შეხვეებული!.. ბოლოს ის გამოვიგნა, რომ ხორცს ცოტა დამწლის სუნი უნდა დასტეოდო — უამისოდ ვერა სჭამდა!.. ხი, ხი, ხი!..

**ფილიპ.** მერე რაზედ მოგაგონდა?

**მზარ.** აი დღევანდელ ქარწილზედ!.. ვერ გამოვიან, რად მისდევს ეს მშვენიერი ქალი ჩვენ კუზიანს!.. ი ახალგაზდა სტუდენტი-კი მეჯვარედ ამიყენს!.. ხი, ხი, ხი!.. ჩხუბი მოუვიდათ!.. ცოლ-ქმრობა მახხის ქთანა-კი არ არის, რამ ერთი ჩხუბის შემდეგ გაიფარნენ!.. თუ უმძნახები არიან, ეს მეჯვარეთა რაღა ეშმაკა?!

**ფილიპ.** რა ვიცი, რაზედ მოუვიდათ ჩხუბი!..

**მზარ.** კარგი და ჰატარაძის!.. გაიფარნენ—გაიფარნენ! ჩვენ კუზიანს რაღად მისდევს!

**ფილიპ.** (ჩაფიქრებული) განათლებული ხალხია... ჩვენ ვერ მიუხვდებით!..

**მზარ.** ხი, ხი, ხი!.. იცი რა?.. მე მგონია მაგ ქალსაც განათლებით ჭკუის სტამაქი აქვს გაფუჭებული და საქმროც აკი ასუნებული აირჩია!.. ხი, ხი, ხი!..

**ფილიპ.** ეგ ჩემი საქმე არ არის... (ისმის ელექტრონის ზარა)

**ფილიპ.** (წამოდგება, დაფაცურდება) წადა... მგონი მოვიდნენ!..

(მზარეული მარდად გაიქცევა; ფილიპე აჩქარებით გაჰყვება. ცოტა ხანს სცენა ცარიელია. მოისმის დარეჯანის და ფილიპეს ლაპარაკი. შემოდის დარეჯან, უკან შემოსდევს ფილიპე)

**დარეჯ.** (მორთულია საქორწილოდ) საცაა მფელენ... ხომ ევკლასფერი მზად არის?

**ფილიპ.** მზად განჯავთ.

**დარეჯ.** სულ ათნი ვიქნებით... არა დაგაკლდეს-რა... დათვალე კარგად!..

**ფილიპ.** განჯავთ! (გადის სასადილო ოთახში)

**დარეჯ.** (აღელვებულია. დადის და თითებს ისრეს. რალაცაზედ ფიქრობს და იღიმება) ისე ვარ



ადედეგებული, ასე გგონია, მე ვიყო ზატარადი! (მწარედ) ხა, ხა, ხა!.. მე!.. ხა, ხა, ხა!.. ეგედასკან დაწუნებული დარჯხან!.. ჩვენი მზარეულიც-გი არ შემირთავს!.. ხა, ხა, ხა!.. (ბრაზით) ჩემისთანა უხეირო ქალი იქვე აკვანში უნდა ჩასხჩხან!.. რით უნდა შეივსოს ქალმა ამდენი დამცირება და ტანჯვა?! რა მინახავს, ან რას მოგვლი ამ წუთი-სოფელში!.. (დაცინვით და ზიზლით) ხა, ხა, ხა!.. გონჯმა საბამაც-გი იშოვნა სიუვარული!.. ხა, ხა!.. საბამ, საბამ!.. ხა, ხა, ხა!.. არა, ის ქალბატონი-გი მაგის სიუვარულით არა დნება, მაგრამ მაინც!.. მესმის ჩემი ზატარისანი რძლის გულ-ხადები!.. საბას ცხფრებას დასტუეებს და სიუვარულს-გი!.. იმ სტუდენტს შეუნახავს... მაგრამ... (ბრაზით და მუქარით) ვერ მივართვი!.. ჯერ შემოდგას ფეხი ჩვენს სახლში!.. [დაცინვით და მწარედ] მეტი რაღა დამჩენია! ფხიზელი ძაღლივით მოუყარაულებ!.. ან-გი... (ჩაფიქრდება) რისთვის?.. ჩემი კუზიანი ძმისთვის?.. ხა, ხა, ხა! განა არა!.. სულ მაგით ფიქრში არა ვარ!.. ხა, ხა, ხა!.. (საზიზლრად) ჯერ ერთი კარგა გაჯიჯგნოს მახინჯმა საბამ!.. ეგ სტუდენტი ხომ თავს არ დაანებებს... (გველივით, ასე გგონია, რაღაცას ეპარებო) ისეთ დროს წავაყენო ბედნიერი ქმარი თავს, რომ თავისი კბილებით დაიგლიჯოს კუზები!.. ხი, ხი, ხი!.. (დინჯად დადის. ბოროტად ოცნებობს. საწოლ ოთახის კარებს შეაღებს და დაცინვით ათვალეირებს) ხა, ხა, ხა!.. რაგორ მაწეო სიუვარულის ბუდე!.. ძვირფასი ხალიჩები, მარმადილს ზირ-სახანი, ვეგებრთელა სარკე თავის მწეობილობით, შიშველა ქალების სურათები და თვით სიუვარულის ტახტრეკანი თფლივით თეთრი ლეიბ-ზეწრებით!.. ეს ზღაპრული ცისფერი განათება!.. საბებზედაც-გი სიუვარულის ზატარა დმერთები დაფრინავენ და უშიხნებენ ზაწია ისრებს კუზიანის გულს!.. ხა, ხა, ხა!.. ფრთხილად, სიუვარული ძმა!.. მაგ ისრებმა შენს დამზად გულს გვერდით არ აუარონ და სტუდენტის გულს არ დაესუნენ!... (აჩქარებით გამოდის ფილიპე)

**ფილიპე.** მგონი მოვიდნენ!.. (ისმის ზარის წკრი-ალი.)

**დარეჯან.** წადი ჩქარა, კარი გააღე!... (ფილიპე გადის)

**დარეჯან.** ნეტავი მე რა მადედეგებს (ხელებს ისრებს. მიუბრუნდება შუა კარებს და დაცინვით) მობრძანდით, მობრძანდით, გვრიტებო ხა, ხა, ხა!... (ისმის ფეხის ხმა. კარი გაიღება და შემოდინს საბა და სონა, საქორწილო ტანისამოსში. უკან მოსდევენ დარია, თომა, ილიკო, მარო, შაქრო. გიორგი. ყველანი ჩაფიქრებული და დამმარებული არიან. სონა გაფითრებული, უმოძრაო, პირისახით, ზეზეულა მძინარესავით. მარტო საბას ეტყობა რაღაცა აჩქარებული მიხვრა-მოხვრა.; ცდილობს მღელვარება შეიმავროს.)

**დარეჯან.** (მხიარულად მიუახლოვდება სონას და ჰკოცნის) მომილოცავს, სონა... დმერთმა ტბილად შეგაბეროთ! (სონა გაშეშებული დგას, პასუხს არ აძ-

ლევს, ასე გგონია, არც-კი ესმისო.) მოგილოცავ შენც, საბა! (ჰკოცნის. თომას და დარიას) მოგილოცავთ ქალის გაბედნიერებას. (ისინი პასუხს არ აძლევენ)

**საბა.** (უნდა დაარღვიოს უხერხული მგლოვი-არობა და მხიარულად, შინაურულად) დაბრძანდით ბატონებო... დაიდლებდით!.. (სონა მიჰყავს დივანთან და სვამს) მე ესლავ გაიხლებით... დაბრძანდით!.. (საბა გადის სასადილო ოთახში; და დარეჯანიც უკან გაჰყვება. ყველანი უკანა კედელთან მწკრივად სხდებიან და მწარე ჩაფიქრებულნი ძირს იყურებიან სონა წინ დივანზედ ზის და გაშტერებული იატაკს დასცქერის).

**ვასო.** (მიუახლოვდება სონას და ჩუმად) რაიმე სიტუვა მაქვს სთქმელი... აუცილებლად!.. რაგორ-მე მოახერხე!.. (მათ ლაპარაკს არავინ ყურადღებას არ აქცევს. სონა დინჯად გაშტერებული შეხედავს ვასოს და ისევ დაჰზრის თავს. ვასო მოშორდება მძიმე სიჩუმეა.)

(შემოდინს საბა და დარეჯან)

**საბა.** (მითომ მხიარულად) აბა, მობრძანდით... თითო ჭიქა ღვინით მაინც დაგვლოცეთ... ხე, ხე, ხე!.. (ადგილიდგან არავინ იძვრის, მიუახლოვდება თომას და დარიას) მობრძანდით!.. (დარია და თომა ზარმაცად აღდებიან)

**დარეჯან.** (მივა სონასთან და ხელს მოჰკიდებს) წამოდა, სონა, მეფე-დედოფალი უნდა დაგვლოცოთ... მაშ!.. ხი, ხი, ხი!.. (სონა ავტომატიურად დგება და მიჰყვება. დარეჯანს გამოჰყავს სონა; სხვებიც ზღაპრით მისდევენ, დარჩებიან მხოლოდ მარო და ილიკო!...)

**მარო.** (ჩუმად) წამო, ილიკო!..

**ილიკო:** (სიბრაზით) ა-აღარ შემოიდიან!.. ამ საზიზღრებას ვეღარ უტყვრ!..

**მარო.** რა დროს ეგენია!.. წამოდა!..

(შემოდის დარეჯან)

**დარეჯანი.** მობრძანდით... დალოცეთ მეფე-ზატარადი!

(ილიკო ზედაც არ შეხედავს; გამძვინვარებული შევარდება სასადილო ოთახში. უკან გაჰყვება მაროც.)

**დარეჯან.** (დაცინვით თვალს გააყოლებს) ხი, ხი, ხი!.. (დარეჯან ზარს.) (შემოდის ფილიპე)

**დარეჯან.** აბა, მოდი ჩქარა რაღა გვაქვს... ესენი აქ დიდხანს არ დარჩებიან!

**ფილიპე.** ემ საათში!.. (გადის)

**საბა.** (შემოდის) უბრძანე?

**დარეჯან.** ესლავ მოიტანს!..

**საბა.** (თვალებით უჩვენებს სასადილო ოთახისკენ) რა მხიარულად არიან!.. ხე, ხე ხე!..

**დარეჯან.** თვალი მაგათაც დაუდგათ!.. დღეს და მერე ჩვენი კარი მაგათთვის დაკეტილი იქნება.

**საბა.** მაშ არა და!.. ეს გოგონა ხომ ჩავიგდეთ ხელში... ხე, ხე, ხე!.. (სიამოვნებით ხელებს ისრებს)

**დარეჯან.** წავიდეთ... ი შენი ზატარძალი არ გაზარან!.. ხი, ხი, ხი!..

**საბა.** ხე, ხე, ხე!.. წავიდეთ, თორემ მგლოვიარე უვაკებივით სხედან... ხე, ხე, ხე! (გაღიან) (სცენა კარგა ხანს ცარიელია. საზოგადოდ ამ სცენის დროს ფილიპეც და მზარეულიც ძალიან დინჯად უნდა ლაპარაკობდნენ. სასადილო ოთახიდან გამოდის ფილიპე და იქვე კარებში ჩერდება. საკმელო უკვე მოუტანიათ. ფილიპე დაფიქრებული იყურება სასადილო ოთახისაკენ; მერე თავს გაიქნევს და იქვე კარებთან ჩაჯდება. შუა კარებში თავს შემოპყრფს მზარეული)

**ფილიპე.** (ჩურჩულით) შენ რაღა გინდა?

**მზარეული.** (ჩურჩულითვე) ერთი, ერთი!.. — შეგხედა!.. (ფეხის თითებზედ მიუახლოვდება კარებს და ფრთხილად სასადილო ოთახში იყურება) დედა, დედა!.. რა ღამაზია!.. აი შენ ახალგაზრდა უღვაშს-კი რაუ თხრა, რომ ეგ გოგო ხელიდან გაუშვი!.. ესხა ძლიან შეუბლი შეიკარ, მამა გიცხნდა, შენც-კი არ ჩაუკაცნო ეგ ტუნები!.. ამ მაიმუნმა უნდა მიიკრას გუფხედ!.. ფუი!.. ფილიპე) ერთი-ერთი უფხადი ამხანაგი და, რა ბიჭი ვიქნებოდი, თუ მაკ ქალის მადლში არ ჩაგდებოდი და არ გავიტაცებდი სადმი!..

**ფილიპე.** კარგი, ბეგრს ნუ უბედაბ... წადი...

**მზარეული.** იცი, ფილიპე, ერთხელ... (უცებ) ზატარძალი ადგა... მგონი აქეთ მოდის... (გავარდება ფილიპე გაიხედავს სასადილო ოთახისკენ და ისიც შუა კარებში გავა. შემოდის დინჯად სონა: უკან მოსდევს დარეჯან)

**დარეჯან.** რად გამხეველ, სონა... უხერხულია.

**სონა.** თავი ამტკივდა... ესლავ მფავლ... (დარეჯან ტუჩებს დაპრანქავს და გაბრუნდება. სონა დივანში ჩაჯდება. შემოდის ვასო, ხელში ჭიქით წყალი უჭირავს და კარებიდანვე ხმა მალლივ ლაპარაკობს)

**ვასო.** აი ცოტა წყალი მიირთვით, თუ თავს ცუდადა ჰგონებთ...

**სონა.** არა, არ მინდა...

**ვასო.** (ჭიქას დადგამს და საჩქაროდ მიუახლოვდება. სხაპა-სხუპით დაუწყებს ლაპარაკს) სონა, დრო არ გვაქვს გრძელი ღამაზისთვის... არ შემოძლია დაგთმო... მზად ვარ შეურიგდე წარსულს შენს გატაცებას... მე მხოლოდ ეკლესიაში შევიგენ, რომ ჩვენ არამც — თუ ვაუბდურებთ ჩვენ თავს. არამედ არა ჩვეულებრივ საზიზღრობას, შეუნდობელ ცოდვას ვიდენტ მე და შენ! დეე დავიტანჯო, ოღონდ შენ ჩემი იყო..

**სონა.** თქვენ არაფერი ტანჯავც არ მოკულოდათ...

**ვასო.** მაგას ნუ იტყვი, სონა — შენი წარსულის დავიწყებს!..

**სონა.** (გააწყვეტინებს) ეგ არაკია

**ვასო.** (დაბნეული) როგორ?

**სონა.** მე თქვენს მეტი არაფინა მუვარების და უმანკო ვარ...

**ვასო.** დმერთო ჩემო, ეს რა მესმის... მამ რად დაიდე ცილი?... მე არაფერი არ მესმის!..

**სონა.** მიტომ არ გესმით, რომ ბიჭებს...

**ვასო.** მე მაინც არ მესმის!.. წინ რად გადაუდექ ჩვენს ბედნიერებას, თუ უმანკო იყავ?

**სონა.** სწორედ იმისთვის, რომ უმანკო ვიყავ და... აღარც ბედნიერება იყო შესაძლო..

**ვასო.** მამ შენ დაგინებების ჩემთვის თავი და არა მე შენთვის.

**სონა.** სწორედ.

**ვასო.** ეგ სიგიჟია, სონა.

**სონა.** რათ არის სიგიჟე, — განა თქვენ თავი არ დამანებეთ, რაცა დარწმუნდით ჩემს არა უმანკობაში?

**ვასო.** რომ იცოდე, სონა, რა გარემობა არტყია უმაწვილ კაცს ბავშობიდან, დარწმუნდები, რომ მისი უბედური თავ-დაუტყრლობა დიროსია სიბრალეულის და არა ზიზღით უკუ გდებისა. რაც შენ შემოიფარდი, ჩემთვის სხვა ქალი აღარ არსებობს. ნუ-თუ ეს შენთვის საკამარისი არ არის...

**სონა.** მე ისეთი უვიცი ვიყავ ცხოვრებისა, რომ უბედურება მეტად მოულოდნელად დამატყდა... ვეღარ გაუძე... ერთი-და დამჩხა წმინდათა-წმინდა, ნუგეში და მოულოდნელად ისიც წარყენილი ვნახე... (შემოდის დარეჯან; ასე გგონია რალაცას ეძებს)

**დარეჯან.** (როცა თვალს შეასწრობენ)

თავი ისევა გტკივა, სონა? მოგვეწინა უზატარძლოდ... ხი, ხი, ხი...

**სონა.** ესლავ მფავლ' (დარეჯან გადის, თან მათ ათვარიელებს)

**ვასო.** (გადაწყვეტით) მე შენ თავს არ დაცანებებ

**სონა.** ესლავ მაგაზედ ღამაზავიც მეტია.

**ვასო.** (ყრუდ) გიმეორებ — ჩემი ცოდვანი თავით მე აქედან არ გავალ... ჩემგან ესლავ უველაფერს მოელოდე: დასკარგი მე აღარა მაქვს-რა..

**სონა.** (შეშფოთებული) რა ვანზრახვა გაქვს?..

**ვასო.** ჯერ მეც არ ვიცი კარგად, ვიცი მხოლოდ რომ უშენოდ აქედან არ გავალ და, თუ აუცილებელი გახდა... (პაუზა)

6. შიუკაშვილი.

(დასასრული იქნება)



თბილისის თავად-ანნაურთა კრების გამო.

— 2 —

გარეშე მუერებელთაგანი ვინც კი დაესწრო კრებას, თუ კი გულწრფელად გაითვალისწინებს ეველაფერს ნაღამარაკვს; — თამამად დამუთანხმება, რომ ამ კრებამ არა სისამოვნო და კიდევაც სამწუხარო შთაბეჭდილება მახ-

დინა უშინაზრობით და მიკერძობით. თავიდანვე კრებსა არა ჩვეულებრივი ხასიათი მიეცა, თითონ თავმჯდომარე და ზოგჯერ მისი თანამაზრუნე ადელვებულის და სიმშვიდეს მოკლებულის ხმით ეკამათობდნენ ობოლიანის წევრებს, ადარ ცდიდნენ სიტყვებს და ეს უკანასკნელნი ადელვებულები ამ უსმართლობით და მიდგომილობით, ერთი ორად ცხარობდნენ. კრება დანიშნული იყო ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად და ობოლიანის სრული უფლება ჰქონდა სხვა და სხვა წამოყენებულ კითხვებზედ ასწავლა და მასუნი მოეთხოვა— მაგრამ ეფუძლი შეკითხვა ობოლიანის მხრივ საშინლად ადელვებდა თითონ თავმჯდომარეს და მის კრებულს და მასუნი მკვიდრად ხშირად აჩვენებდნენ მოკამათეს და შირში ბურთს სწრიდნენ. ასე რომ კრებიდან სამართლიანად არა ერთხელ შენიშნეს თავმჯდომარეს, თუ კი ეს განხილვა თქვენ კრებულს ადელვებს, - ინებეთ, დაგვიმტკიცებთ თქვენი წარმოდგენილი ანგარიში. ობოლიანა შეძლების დაგვარად ცდილობდა საზოგადოებრივი და შინაგანადღობის ხასიათი მიეცა კამათისათვის, საზოგადოებრივ სარგებლობით ეხელმძღვანელა, როდესაც ცდილობდა გასაგადის შემცირებას, ხელდა თავმჯდომარე სარგებლობდა თავის ძალით და ამურებდა კრებას ანგარიშის დამტკიცებას. ასევე მოქმედებდა ხარჯთ-აღრიცხვას. ობოლიანამაც კი-ხმა ჩაიკმინდა და ორი—სამი ზუნქტის გარდა ეველა ციფრები თითქმის უკამათოდ დამტკიცდა. ჩვენის აზრით კი თუ გუდადამით გადავავლებთ თავს წარმოდგენილ ხარჯს— თავისუფლად შეგვიძლიან იგი შევამცირებთ. ავიდეთ, თუ გნებავთ, თითონ სადებუტატო საკრებულს ბინა. ამის შესახებ შარშანც ადრეს კითხვა და მამინ საკრებულად დაგვიხარდა კრებას, რომ ერთ წელიწადში მკ კითხვას გადავწვევტოთ, გადმოვავთ ძველ ბინაზე და ამით ხარჯს შევამცირებთ. იგივე გაიმეორეს დღეს და ხარჯის შემცირების ნაცვლად, კიდევ მოუმტეს. ავიდეთ ახლა ქარვასლას, რომლის წმინდა შემოსავალი თანდათან კლებულა და ბოლოს სმას თუმნამდე ჩამოვიდა; ნუ თუ არ შეიძლება, — უფრო სადად და არა ბიურკრატულად მოქმედოთ მისი მართვა-გამკება. განა ერთი მოურავი ვერ მოუვლიდა ელექტრონის სადგურს და მთელ ქარვასლას? გადავავთ თავი ხარჯთ-აღრიცხვას და ნახავთ, რომ შემწეობას აძლევენ იმისთანა დაწესებულებებს, რომელნიც არ საჭიროებენ მათ დახმარებაში, ამავე დროს კი ჩვენ განმანათლებელ და საქველმოქმედო საზოგადოებისთვის ქართულ გამზარის გარდა ძლიერ-ძლიერებით იმეტებენ, ეველა ეს რა გუდადამით მოქმედებს კრებას, მკვიდრად დამდგარიყო თავის მოთხოვნებზე ობოლიანა— მამინ მათ ბურთი ადარ დასჭირდებოდათ ლანარავი იმის შესახებ, თუ რომელ ჩვენ საზოგადო საქმეს უზირატესობა მიეცემა— საშუალო და დაბალსკოლას, წერაკითხვის საზოგადოებას თუ მიწის საკითხს. ეფუძლი ციფრი ხარჯთ-აღრიცხვის რომ კარგად გაუთვალისწინებიათ კრებისათვის, მამინ შეძლების დაგვარად დაკვირვებულნი იქნებოდა. საშუალოდ ობოლიანის ბოლოს მოქმედება და, თუ გნებავთ, ცოტა გაუბედაობაც დაეჭ-

ეო, მეორე მხარე კი ჩვეულებრივად აჩვენებდა ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებას. დასასრულ უნდა ვთქვათ რომ საცა ამოდენა ფული ტრიალებს— რა დასწრებულნი იგი უნდა იყოს, — საჭიროა, რომ ამ დაწესებულებასთან ერთად არსებობდეს განსაკუთრებული ორგანო ფინანსიური, საბიუჯეტო კამისია. რომელშიც უნდა ეველა დარგის სპეციალისტები მოქმედებენ, და ამ ორგანომ ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვას და თავისი დასაბუთებული აზრი წარუდგინოს ხელმე საკრებულს საზოგადო კრებისათვის მოსახსენებლად.

დამოუკიდებელი.



# ნუსკალ ხანი

## ისტორიული მოთხრობა.

(ვუძღვნი ძმებს კოტეს და მიტროს).

### XIV

მეფის ბრძანება: „იარეთ სისწრაფით, რომ შაბათის გასათენებლად უქველად თავს ზარი დასცეთ ლეკებსა“-ო, მტკიცედ აასრულა თუშეთში გამოგზავნილმა მხედრობამ. პარასკევის მხეს ჯერ არ მოესვენა, როდესაც მხედრობამ გადალახა ნაქერლის, წყაროიანის მთები და ჩავიდა გომეწრის ხევში.

კახეთიდან ჯარის მოსვლის ხმა მთელ თუშეთს მოედო. ამ ხმაზე მთელი თუშეთი ფეხზე წამოდგა. ყველა, ვისაც-კი შეეძლო იარაღის ტარება, გამოვიდა საბრძოლველად, აესხა იარაღი და გამოეშურა ბრძოლის ველისაკენ. სახლში დარჩნენ მხოლოდ მანდილოსნები თავიანთ ბავშვებით და ფრიად მოხუცებულნი, რომელთა სიცოცხლის უკანასკნელი წუთები უკვე დათვლილი იყო და ერთი ფეხი სამარეში ედგათ. მთებში მწყემსებმაც მიანებეს თავი ცხვარს, დასტოვეს ბაღების ამარა, „თუნდ მგელს სულ ერთიანად დაუქამია“-ო და გასწიეს მამულის დასაცველად. სოფელ ჯვარბოსლის ხილთან ჯარს დაუხვდნენ მანდილოსნები.

„...  
სამყინერის ლელეს გადმოდის (ჯარი)  
ციხს არ გასწვდება ნამიო,  
გადმოდის გომეწრის უბეს  
ქალებთ დასწერეს ჯვარიო...“\*)

ლაშქარი დაბანაკდა დასასვენებლად თუშეთის ალაზნის ნაპირზე სოფელ ჯვარბოსლის პირდაპირ. შებინდდა. მგზავრობისაგან დაღლილ-დაქანცული მეომრები ძილს მიეცნენ. მაგრამ ვინ იცის, ვის დაეძინა და ვის არა იმ ღამეს იქ. მძიმე ღამე იყო მე-

\*) თუშური ლექსი;

ომრებისთვის ის ღამე. ვინ იცის, ვინ ნახავდა ჭეო-  
რე ღამეს და ვინ არა...

სრული სიჩუმე იდგა. მხოლოდ ყურს ესმოდა  
ნელი გუგუნის თუშეთის ალაზნისა და აქა-იქ მძოვა-  
რე ცხენების ფრუტუნნი.

ბანაკის ცოტა გაშორებით, სალოცავის კარის  
წინ, სადაც ესვენა წმიდა დროშები, რამდენიმე მე-  
ომარ თუშს მოეყარა თავი და რაღაც ბასი გაებათ-  
მათ შორი ახლოს სიბნელეში გამოჩნდა კიდევ ერთი,  
რომელიც გაჩქარებით მოდიოდა იმ ჯგუფისაკენ.

— ბაჩო, შენ ხარ? გაუძახა ერთმა იმ ჯგუ-  
ფიდან.

— მე ვარ, გიორგი, მე! იყო პასუხი.

— მოდი, კაცო, ჩვენ შენ გელით, სადა ხარ  
აქამდისინ?

— ცხენთან ვიყავ, სთქვა ბაჩომ, მივიდა თუ  
არა შეყრილ მეომრებთან, — ახალი გახედნილი აჯე-  
ლდა, და მეშინიან ამ სიკეთის დროს წოვათაში არ  
გამეპაროს. ისევ დაბმა ვირჩიე.

— აბა არ შეეფიცოთ? მიუბრუნდა ბაჩო შემ-  
დეგ ამხანაგებს, როცა აუხსნა ამხანაგებს თავისი  
დაგვიანება.

— მაშ რისთვის შევიყარებით აქ, უთხრეს ამ-  
ხანაგებმა, — უეჭველად უნდა შეეფიცოთ.

— საფიცრის ჯოხი გაქვთ? ჰკითხა ბაჩომ.

— მე მაქვს, სთქვა ომალოელმა და მიაწოდა  
ბაჩოს არყის ჯოხი ნახევარი ადლის სიგძისა.

— ვფიცავ წოვათის ბერ სამებას, დაიწყო პირ-  
ველმა ბაჩომ, რა გამოართო გიორგის საფიცრის  
ჯოხი, — ვფიცავ სპეროზის წმიდა გიორგის, ვფიცავ  
ყველა მთის და ბარის წმიდანებს, რომ უკანასკნელ  
წვეთამდის შევანთხევ ჩემ სისხლის მტერს. გმობილი  
ვიყო, წყეული, დევნილი ცოფიან ძაღლივით ჩემ  
საყვარელ სამშობლოდან, ნუ მეღირსოს სამარე ჩემ  
წინაპრებთა საფლავებს შორის... სამარე მოკლებულ  
ჩემ ლეშს გლეჯდეს მხეცი და წიწკნიდეს გაუმძღა-  
რი სეავეყორანი... დამენატროს მოძმეთა სალამი,  
წინ დამეგულოს მათი სახლის კარები, ნუ მეღირ-  
სოს მკვდარს ჩემ მშობელ დედის ცრემლები, შხა-  
მად და გესლად მექცეს მისი ტკილი რძე — თუ  
თქვენ, ძმებო, მხარი არ დაგიჭიროთ, თუ გაგტეხო  
ფიცი, თუ მტერს ზურგი ვუჩვენო და თქვენთან  
ერთად არ მივეგებო, როგორც გამარჯვებას, ისე  
სიკვდილს. ან გამარჯვება, ან სიკვდილი, ვფიცავ  
დიდებულ ღმერთთ, ამ სალოცველ მადლს, ამ წმიდა  
დროშას... დაასრულა ბაჩომ.

— ამინ... ამინ... ერთხმად წამოიძახეს და-  
ნარჩენებმა.

ბაჩომ დააქდია საფიცრის ჯოხი და გადასცა  
ომალოელს. შეჰფიცა ომალოელმა და მასთან ყვე-  
ლამ იქ მყოფმა. ყველამ დააქდია ჯოხი. შეჰფიცეს,  
რომ ყველანი გაწყდებოდნენ ბრძოლის ველზე და  
დამარცხებას კი არ ნახავდნენ. ერთი ხმით გადას-

წყვიტეს ფიცით, რომ რაც მოხლოდათ, ანთას რო-  
გორმე გაანთავისუფლებდნენ და თვით მუცელსაც  
მიუბრუნებდნენ კარავში.

გაათავეს ფიცი თუ არა, შეფიცულ მეომრებმა  
შეიტანეს საფიცრის ჯოხი ხატის საბძანებელში; ამის  
შემდეგ მივიდნენ ბანაკში დასაძინებლად.

გათენებამდისინ ჯერ კიდევ კარგა ხანი იყო,  
როდესაც ლაშქარი წამოიშალა და გაუდგა გზას. გაი-  
არა სოფლები ჯვარბოსელი, ვერბოვანი და გადა-  
ლახა ნაყაივერის მთა. ნაყაივერის გზა გადადის ჩაღ-  
მის ხევიდან პირიქით თუშეთში სოფ. ფარსმის პირ-  
დაპირ. ეს გზა ჩასავალში ნამეტანი დაკიდულია და  
ამასთან უხერხო სავლიანი. ღამით-კი არა, დღისი-  
თაც კი ფეხით უხდება მგზავრს სიარული ამ გზაზე  
და მით უმეტეს მთელ ლაშქარს გაუჭირდებოდა იმ  
ღამის წყვილადში ჩასვლა. ითაბანულმა და ომალო-  
ელმა ამისათვის გამოიყოლიეს ბლომად ფიჭვი. ან-  
თეს მაშხალები და ისე გააკვლევინეს გზა ლაშქარს.

## XV

ჯერ შუა ღამე არ იქნებოდა. ცა მოჭედლიყო  
მოციმციმე ვარსკვლავებით და დიდებულ მთის ბუ-  
ნებას ღრმად ჩასძინებოდა. სდუმდა არე-მარე. არ-  
საიდან ხმა. დაჭრილ მხეცივით მხერმარე და მო-  
ღრიალე პირიქით თუშეთის ალაზანიც თითქო მი-  
ყუჩებულიყო.

ეძინა ნუცალხანის მთელ ბანაკსაც, აქა-იქ  
ოდნავ და მბუჭტავ ცეცხლის გარშემო რიყესავით  
ეყარნენ მეომრები ბანაკის გარშემო ატუზულიყო  
რამდენიმე დარაჯი, რომელნიც ჩქარ-ჩქარა იხედე-  
ბოდნენ ცაში, რომ ვარსკვლავების მოძრაობაზე გა-  
ეგოთ თენების დრო.

იმ სიბნელეში მხოლოდ ერთგან მოსჩანდა  
მკრთალი სინათლე. ეს სინათლე გამოდიოდა ხანის  
კარავიდან. არ ეძინათ ნუცალს და მურთაზს. ვახშ-  
მის ლოდინში ორივენი ფირქს მისცემოდნენ.

— ხვალ თავდება ვადა და ვნახოთ, როგორ  
ასრულებენ თუშები დაპირებას, წარმოსთქვა ნუ-  
ცალმა, რა აიღო დაკიდული თავი და მიმოავლო  
თვალი მკრთალად განათებულ კარავს.

— მეტი რა გაეწყობათ, ამაყად სთქვა მხე-  
დართ მთავარმა, — უნდა აასრულონ დაპირება, თუ  
არა და ისევ ამოვა ქარქაშიდან ხმალი მათი სისხლის  
სანთხეველად.

— არა მგონია, რომ პირობას გადაუვიდნენ,  
სთქვა ხანმა რამდენიმე სიჩუმის შემდეგ, — თუ-კი  
ჰქონდათ რამე გულში, ისე ადვილად ანთას არ  
გაიმეტებდნენ. ცოტა ეს-კი მაეჭვიანებს, რატომ  
ქალი არ მომიყვანეს დაპირებისამებრ. ვნახოთ, რას  
გვეტყვის ამაზე ანთა.

— ეი, დაუძახა ავარის მბრძანებელმა კარავის  
დარაჯს, დამიძახე ეხლავე აბდულლას. აბდულლა  
მოეპარდა.

— აბდულ, თუშების ამანათი როგორა გყავს? ჰკითხა ხანმა.

— კარგად, დიდებულო, ხანო, მოწიწებით მიუგო ანდაქოელმა.

ხომ კარგად ადევნებ თვალყურს. მითქმა-მოთმა ხომ არავისთან აქვს, ან ხომ არაფერს არ ამჩნევ?

— საკუთრად ორი კაცი მყავს მიყენებული, მოახსენა თავის მბრძანებელს აბდულამ, — გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს ყოველ მის მოქმედებას, ყოველ მის ნაბიჯს და არც მე და არც მათ ვერაფერი შეგვიმჩნევია. მხოლოდ ხვალინდელ დღეს მოუთმენლად მოელის.

— კარგა ადევნე თვალყური, შენ ჩაგაბარე და იცოდე თუ მოხდა რამე, შენი თავი მომცემს პასუხს. ეხლა-კი წადი და აქ მომიყვანე. უბრძანა ნუცალმა. არ გაიარა ბევრმა ხანმა. კარავის კარებში გამოჩნდა დევდრის ანთა.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა, ალერსიანად დაუხვდა ავარიის მბრძანებელი თუშეთის ამანათს და უჩვენა დასაჯდომი ალაფი თავის ახლოს.

— როგორ გინახავს აბდულა, ჰკითხა ხანმა ანთას, — ხომ არ ემდურის?

— აბდულლასთან არავითარი სამდურავი არა მაქვსრა, მადლობა ღმერთს.

— ხომ არ შეწუხდი, განაგრძო ნუცალმა, არა უშავსრა, ეს ერთი ღამესა და ხვალ დაპირებისამებრ მოგივლენ თუშები და გაგანთავისუფლებთ კიდევ.

— დიად, სთქვა ანთამ, იმედი მაქვს, რომ ხვალ უეჭველად მოვლენ თუშები და მეც განვთავისუფლდები...

— რასაკვირველია, ყოველი დაპირების ასრულებით. დაუმატა ნუცალმა ღიმილით და თვალი თვალში გაუყარა თუშების ამანათს.

— რასაკვირველია. უმტკიცა ანთამაც, — თუშებმა კარგად იციან, თუ რა მოელით მათ, თუ პირს გადავლენ, რაღა შეუძლიანთ. ხვალ დილით უეჭველათ ველი და ღმერთია მოწყალე.

— მაშ, თუ ყოველის დაპირების ასრულება გსურთ, რატომ შენი მოსვლის მეორე დღეს ქალწული არ მომგვარეთ?

ანთა თითქო შეკრთა ნუცალის კითხვაზე. მღეღვარება დაეტყო.

— უნდა მოეყვანათ, მაგრამ, როგორც თქვენ ლეკებისაგან გავიგე, იმ ქალს თავი მოეკლა...

დღემილი ჩამოვარდა.

— ჩვენ — ეს მთის ხალხი რად უნდა ვიყვნეთ ერთი ერთმანეთის მტერნი, ნეტავ რად უნდა ვღვაროთ ერთი ერთმანეთის სისხლი?... სთქვა ნუცალ ხანმა კარგა ხნის დუმილის შემდეგ და მისი დიდრონი შავი თვალები მიაჩერდნენ ანთას. — ჩვენ რომ ერთი სარწმუნოება გვქონდეს, ომ მტრობა ძმობათ გარდაგვექცეოდა. შეერთდებოდა მთელი მთა, მია-

წვდენდნენ ერთიერთმანეთს ძმურ ხელს, ღვთის რისხვად აღმოუჩნდებოდა ბარს. ჩვენი შეერთება დალიან ადვილია.

— მართალსა ბრძანებთ, ხანო, უთხრა ავარიის მბრძანებელს დევდრის ანთამ, ჩვენ — მთის ხალხს რომ ერთი რჯული გვქონდეს, ისე ადვილად არ დავლვრიდით ერთიერთმანეთის სისხლს, ძმები ვიქნებოდით... მაგრამ ეს შეუძლებელია რომ მოხდეს, თუშები არ იზამენ ამას, არ უღალატებენ თავიანთ რჯულს. ყოველი თუში დიდი, თუ პატარა, ქუდოსანი თუ მანდილოსანი არ გადუღდება იმ მთის წმიდანებს, იმ ხატებს, იმ წმიდა დროშებს, რომელზედაც ლოცულობდნენ მისი მამა-პაპანი, რომლისთვისაც არ ზოგავდნენ უკანასკნელ სისხლის წვეთს... მოკვდება ყოველი თუში და თავის რჯულს-კი არ გადუღდება...

ამ დროს ლეკმა შემოიტანა ვახშამი, რომელიც შესდგებოდა ცივად მოხარშულ კვიცის ხორცისაგან და კეცზე გამომცხვარ ლავაშისაგან. ხორცი ეწყო ვერცხლის ტაბაკზე და „დანა ზედ უძევს ჯავარი, გიშრისა ტარი ავია“.\*)

— აბა, ანთავ, შეექცი, მშვენიერი ხორცია, გაუმასპინძლდა ანთას ნუცალხანი, — თქვენი ქვეყნისა და სწორე გითხრა, ესეთი გემრიელი კვიცის ხორცი დაღესტანშიაც-კი არ მიქამია.

კვიცის ხორცის დანახვაზე მთლად აიმღვრა ანთა და ხანის სიტყვები «თქვენი ქვეყნისაა» შხამედ და გესლად ჩაეწვეთა გულში.

— ჩვენ, ქრისტიანები ცხენის ხორცს არა ვკვამთ, ხანო, უთხრა ნუცალს ანთამ, — ცხენის ხორცის ჭამა ისევე ეწინააღმდეგება ჩვენ რჯულს, როგორც ღორის ხორცის ჭამა თქვენ რჯულს.

— ვიცი, გესლიანად გაიღიმა ავარიის მბრძანებელმა, რა გადაჰხედა მურთაზს, — მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ჩემ გულისათვის არ დაერიდები. ამით უფრო დამიმტკიცებ პატივისცემას და ერთგულებას.

— თუ კი ამით შემიძლიან დაგიმტკიცო პატივისცემა და ერთგულობა, — ბატონი ბრძანდებით, მე მზდაა ვარ.

ამ სიტყვებით დევდრის ანთამ აიღო ტაბაკიდან ერთი კარგი მსუქანი ნაჭერი და თუმცა საზიზღარი იყო მისთვის კვიცის ხორცი, გული ერეოდა, ლუკმა არ ჩადიოდა ყელში, მაგრამ მაინც... «ქამდის და ვერა ძღებოდის ღვთისაგან მოელის შველასა“...\*\*)

ვახშამი გაათავეს, ანთა წაიყვანეს თავის ბინაში. ქრაქიც ჩაქრა ნუცალის კარავში, ტკბილ ძილს მიეცნენ ავარიის მბრძანებელი და მისი მხედართმთავარი იმ იმედით, რომ მეორე დილას თუშები მოუყვანდნენ დანაპირ დიაცს და სხვა გადასახადს... მიაართმევდნენ. მაგრამ რა იცის კაცმა, თუ რა ბედისსწერა დაჰქრის თავს. ივ. ბუქურაული.

(დასასრული იქნება)

\*) თუშური ლექსა.

\*\*) თუშური ლექსი.